საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის მონიტორინგის ანგარიში

თბილისი

2019

ანგარიშის ავტორები:

გვანცა წულუკიძე, ვერიკო ბერეკაშვილი

ანგარიშის გამოცემაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

სარჩევი 2

1. შესავალი 4

ძირითადი მიგნებები: 7

2. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის მეთოდოლოგია 10

2.1. ზოგადი ინფორმაცია: 10

2.2. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიზანი: 10

2.3. მონიტორინგის პერიოდულობა 11

2.4. ანალიტიკური მოდელის აღწერა 11

3. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია 14

3.1. საერთო სასამართლოებში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა 14

3.2. მოსამართლეთა დატვირთულობა 17

4. საქმეთა განაწილება 19

4.1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები 19

4.1.1. თბილისის საქალაქო სასამართლო 20

ქუთაისის საქალაქო სასამართლო 25

4.1.3. ბათუმის საქალაქო სასამართლო 27

4.1.4. რუსთავის საქალაქო სასამართლო 29

4.1.5. გორის რაიონული სასამართლო 32

4.2. სააპელაციო სასამართლოები 35

4.2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლო 37

4.2.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 40

4.3. საქართველოს უზენაესი სასამართლო 43

5. დასკვნა 45

რეკომენდაციები: 46

დანართი №1 47

დანართი №2 50

დანართი №3 51

დანართი №4 52

დანართი №5 53

დანართი №6 54

დანართი №7 56

1. შესავალი

წლების განმავლობაში მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება სასამართლოს თავმჯდომარეების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ამ უკანასკნელთა მხრიდან მოსამართლეებზე საქმეთა განაწილებით მანიპულირების შესახებ საფუძვლიანი ეჭვები არაერთხელ წარმოიშვა ცალკეული მოსამართლეების მიერ გახმაურებული საქმეების განხილვის დროს და ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი[1]. საქმეთა განაწილების ახალი წესის ამოქმედებამდე, სასამართლოებში საქმეები „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ"[2] საქართველოს კანონის საფუძველზე ნაწილდებოდა საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა თავმჯდომარის მიერ რიგითობის განსაზღვრის მიზნით ბრძანების გამოცემის ვალდებულებას, რიგ სასამართლოებში მოსამართლეთა რიგითობა სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრებოდა. მაშინ, როდესაც ბრძანებით დადგენილი რიგითობის შემთხვევაშიც კი, არსებობდა შესაძლებლობა, საქმე სასამართლოს თავმჯდომარისთვის სასურველ მოსამართლეზე განაწილებულიყო, რთული შესაფასებელია, რამდენად ნაწილდებოდა საქმეები კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იმ სასამართლოებში, სადაც ბრძანება ან შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი საერთოდ არ არსებობდა[3].

სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ საქმეთა განაწილებით გამოწვეულ სისტემურ პრობლემაზე მუდმივად აპელირებდნენ, როგორც ადგილობრივი[4], ისე საერთაშორისო ორგანიზაციები. ვენეციის კომისია 2014 წლის 14 ოქტომბრის დასკვნაში პირდაპირ უთითებს, რომ „სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილება, გაანაწილონ საქმეები მოსამართლეთა შორის, დისკრეციის ელემენტებს გულისხმობს, რაც შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება, მაგალითად მოსამართლის ზედმეტად დატვირთვა დიდი რაოდენობის საქმეებით, ან მოსამართლისთვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საქმეების მიცემა."[5] გარდა ამისა, იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სასამართლოში საქმეთა განაწილება უნდა მიჰყვებოდეს წინასწარ დამკვიდრებულ ობიექტურ კრიტერიუმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ამ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს

---

[1] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში" 2015. გვ.7. ხელმისაწვდომია: http://gdi.ge/uploads/other/0/227.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[2] საქართველო კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" (ძალადაკარგულია) ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30070?publication=13 [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[3] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის", ანგარიში - „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები", 2017. გვ 71. ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0 [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[4] იქვე, გვ 70.

[5] ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე". CDL-AD(2014)031, პუნქტი 69. ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

საქმის მხარემ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია საქმის შედეგით“.

მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა და აღნიშნული საკითხი მოწესრიგდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის[6] 58[1] მუხლით. ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველზე 2017 წლის პირველი მაისის N1/56 გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ (შემდგომში - „იუსტიციის საბჭო“) დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“[7] (შემდგომში - „საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი“), რომლითაც რეგულირდება სისტემის მეშვეობით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.[8]

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის უმთავრეს მიზანს საქმეთა შემთხვევითი განაწილება წარმოადგენს, თუმცა სისტემამ ფორმალურად უზრუნველყო ასევე სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან საქმეთა განაწილების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, საქმეთა განაწილების პროცესიდან მათი დისტანცირება და მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად თანაბარი დატვირთულობა. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა თავდაპირველად 2017 წლის პირველი ივლისიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოს ყველა საერთო სასამართლოში.

ელექტრონული სისტემით საქმის განაწილების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება: სასამართლოს კანცელარიაში შესულ სარჩელს, შესაგებელს, განცხადებას, შუამდგომლობას და ა.შ. ენიჭება რეგისტრაციის ნომერი, რომელიც მხარეს გადაეცემა. ამის შემდგომ საქმეს ფორმალურად ამოწმებს კანცელარიის მუშაკი და იმ შემთხვევაში, თუკი წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხდება მისი სკანირება და ატვირთვა ელექტრონულ პროგრამაში. ატვირთვის შემდგომ კანცელარიის მუშაკი თავად ირჩევს საქმის სპეციალიზაციას (თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში - ვიწრო სპეციალიზაციასაც) და საქმის განაწილების წესს: შემთხვევითი განაწილების, საგამონაკლისო და მორიგეობით. საგამონაკლისო წესის გამოყენების შემთხვევაში იგი თავად უთითებს, თუ რომელ მოსამართლეს უნდა გაუნაწილდეს საქმე. მორიგეობის შემთხვევაშიც, პირდაპირ მიეთითება მოსამართლე მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად. რაც შეეხება შემთხვევითი განაწილების პრინციპის გამოყენებას, აქ პროგრამა თავად უზრუნველყოფს მოსამართლის შერჩევას.

---

[6] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 58[1]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676 [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[7] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[8] იქვე, მუხლი 2.1.

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, ერთსა და იმავე სპეციალიზაციაში/ვიწრო სპეციალიზაციაში/კოლეგიაში/პალატაში, თანაბარი დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის მქონე მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა შორის სხვაობა 3 საქმეს არ უნდა აღემატებოდეს. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს, რომელთაც მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა აქვთ, შეუძლიათ მარტივად განსაზღვრონ კონკრეტულ მომენტში გასანაწილებლად პროგრამაში ჩაშვებული საქმე დიდი ალბათობით რომელ მოსამართლეს დაეწერება და, შესაბამისად, თუკი მხოლოდ ერთი საქმე იქნება განაწილებული, მათ შეეძლებათ განაწილების პროცესსა და საქმის შედეგზე იქონიონ გავლენა.

მოცემული ანგარიშის მიზანია საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების შეფასება და დადგენა, თუ რამდენად არის დაცული პრაქტიკაში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილი პრინციპები და მოთხოვნები[9]. მონიტორინგის ფარგლებში მოექცა თბილისის, რუსთავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოები, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო. სასამართლოების შერჩევა მოხდა მათი სიდიდისა და დატვირთულობის მიხედვით, ვინაიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის პრაქტიკაში მოქმედების მონიტორინგი, კოლეგიების/პალატების არსებობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ ამ სასამართლოებშია შესაძლებელი.

მონიტორინგის განმავლობაში გარკვეულ სირთულეები წარმოიქმნა ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედების შემდეგ, იუსტიციის საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი რამდენიმე თვის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით და არასრულყოფილად გვაწვდიდა სტატისტიკურ მონაცემებს[10], რაც შეუძლებელს ხდიდა მონიტორინგის სრულფასოვან წარმოებას. არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდების მიზეზად იუსტიციის საბჭო მოთხოვნილი ინფორმაციის დაუმუშავებლობას ასახელებდა მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული დეპარტამენტის პირდაპირ ფუნქციას სწორედ საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის განხორციელება წარმოადგენს,[11] ხოლო „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მიხედვით, სწორედ მენეჯმენტის

[9] იხილეთ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებული ანგარიში „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[10] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პასუხები საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წერილებზე: N521/367-03-ო; N662/414-03-ო; N705/640-03-ო; N 706/739-03-ო; N837/880-03-ო; N858/881-03-ო; N913/1074-03-ო; N919/1082-03-ო; N936/1070919/1082-03-ო; N951/1073-03-ო; N1038/1070-03-ო და ა.შ.

[11] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/208-2007 გადაწყვეტილება „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 27[3]. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/208-2007%20%282007%29.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

დეპარტამენტია უფლებამოსილი ადმინისტრირება გაუწიოს საქმეთა განაწილების სისტემის ფუნქციონირებას, მათ შორის შეიტანოს სისტემაში გარკვეული ინფორმაციული ცვლილებები[12].

მოგვიანებით, სტატისტიკური მონაცემების მოწოდებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საინფორმაციო - ტექნოლოგიური ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფმა აიღო, რომელიც 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით სრულყოფილი სახით გასცემდა მოთხოვნილ ინფორმაციას. მას შემდეგ, რაც 2018 წლის დეკემბრიდან აღნიშნული ჯგუფი სტრუქტურულად დაექვემდებარა იუსტიციის საბჭოს, კვლავ შეუძლებელი გახდა ინფორმაციის სრულყოფილად მიღება, რის გამოც, წარმოდგენილ ანგარიშში ვერ მოხდა დეკემბრის თვის მონაცემების ასახვა.

ანგარიშის ფარგლებში, შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით დამუშავდა 11 თვის სტატისტიკური მონაცემები, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **შემთხვევითი განაწილების** პრინციპით განაწილებულ საქმეებს, ვინაიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი საქმეთა განაწილების სწორედ ამ ტიპისთვის ადგენს დანაწესებს, რომელთა მონიტორინგიც გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება საქმეთა განაწილების პრაქტიკა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესს.[13]

წარმოდგენილ ანგარიშში თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთულობა შემოწმებულია ვიწრო სპეციალიზაციებში, ხოლო დანარჩენი სასამართლოების შემთხვევაში - კოლეგიებში. გარდა ამისა, საქმეთა შემთხვევითი წესით განაწილების მოთხოვნის დაცულობა შემოწმებულია მოსამართლეთა უფლებამოსილების განხორციელების შეჩერების (შვებულების, ბიულეტენისა თუ სხვა მიზეზით) კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით იმ სასამართლოების კოლეგიების/პალატების/ვიწრო სპეციალიზაციების შემთხვევაში, რომლებშიც ორი ან სამი მოსამართლეა.

ძირითადი მიგნებები:

- კანცელარიის შესაბამისი სპეციალისტი ელექტრონული სისტემის საშუალებით შემოსული საქმეების განაწილებას ახორციელებს სათითაოდ, რაც გულისხმობს, რომ შემთხვევითი პრინციპით მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე შეირჩევა და არა თავად გასანაწილებელი საქმე. ეს კი საქმეთა განაწილების შედეგების განჭვრეტისა და მათით მანიპულაციის შესაძლებლობას იძლევა და საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს[14];

---

[12] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56-2017 გადაწყვეტილება „„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/1-56.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[13] საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი შეგიძლიათ უფრო დაწვრილებით იხილოთ: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf?fbclid=IwAR2kU2olUvgH9_LzqF5R_q6gT07OLktJXMXWCfJweBQvdM5f5U7W7cJ_9FI [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[14] საქმეთა განაწილების პროცესი დეტალურად იხილეთ: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებული ანგარიში „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. გვ. 26. ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/0/807.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

- 11 თვის ჯამური სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ რვავე სასამართლოს შემთხვევაში, მოსამართლეებს შორის საქმეები არათანაბრადაა განაწილებული და მათ თავიანთი დატვირთულობის შესაბამისი საქმეები არ გაუნაწილდათ.[15] მათ შორის, ერთნაირი ან თითქმის იდენტური ნამუშევარი დღეების მქონე მოსამართლეებს შორისაც. ზოგიერთ მათგანს მოსალოდნელთან შედარებით ნაკლები, ზოგიერთს კი მეტი საქმე გაუნაწილდა. მოსალოდნელი რაოდენობის საქმე არ გაუნაწილდა იმ მოსამართლესაც, რომელსაც არცერთი დღის განმავლობაში არ ჰქონია შეჩერებული უფლებამოსილება. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ:

  - საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღების ერთ-ერთი მიზანი - მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფა, ამ დრომდე არ არის მიღწეული;
  - საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეთა თანაბარ დატვირთულობას;

- საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და იუსტიციის საბჭოს მდივანს. მათ მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ შეიძლება გაუნაწილდეთ საქმე, თუმცა, რა იგულისხმება ამ ტერმინში, ვინ ადგენს ასეთი შემთხვევის არსებობას და მის ხანგრძლივობას საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილი არ არის. შესაბამისად, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ და სასურველ დროს ჩაერთონ საქმეთა განაწილების პროცესში. მაგალითად:

  ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, **ვასილ მშვენიერაძეს,** სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის „გ“ კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციაში გაუნაწილდა ერთი საქმე, მაშინ, როდესაც 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობამ 278 საქმე შეადგინა, ხოლო „ე“ კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციაში გაუნაწილდა 8 საქმე, როდესაც 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობამ 1487 საქმე შეადგინა;

  ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს მიხეილ ჩინჩალაძეს საერთოდ არ უნაწილდება საქმეები, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე დიმიტრი გვრიტიშვილს 2018 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი სამოქალაქო სამართლის საქმე გაუნაწილდა;

  გ) განსაკუთრებით საყურადღებოა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შემთხვევა, რომელიც იმავდროულად სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეც იყო და საქმეები თითქმის 50% იანი დატვირთულობით უნაწილდებოდა. 2018 წლის

[15] ზოგადი წესით, თუ არ არსებობს კონკრეტული მოსამართლისთვის საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით საგანგებოდ დადგენილი პროცენტული მაჩვენებელი, ან ეს პროცენტული მაჩვენებელი გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არ არის დადგენილი, მოსამართლე ჩვეულებრივ სრული ე.ი. 100%-იანი დატვირთვით საქმიანობს.

იანვრიდან ივლისის ჩათვლით[16] მას 116 საქმე გაუნაწილდა, მაშინ როდესაც 100% დატვირთულობის მქონე მოსამართლე გიორგი შავლიაშვილს იმავე საანგარიშო პერიოდში 236 საქმე გაუნაწილდა.

- იმ სასამართლოებში, რომლებშიც კოლეგიებში / ვიწრო სპეციალიზაციებში / პალატებში 2 ან 3 მოსამართლეა, გარკვეული პერიოდების განმავლობაში საქმეები მხოლოდ ერთ მოსამართლეზე ნაწილდებოდა, კერძოდ, როდესაც დანარჩენ მოსამართლეებს შეჩერებული ჰქონდათ უფლებამოსილება შვებულების, მივლინების, ბიულეტენის თუ სხვა საფუძვლით. შესაბამისად, არ მოქმედებდა შემთხვევითი განაწილების პრინციპი და შესაძლებელი იყო იმის განჭვრეტა, თუ რომელ მოსამართლეს დაეწერებოდა კონკრეტულ დღეს შესული საქმე. მსგავსი პრობლემა იდგა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოხელის მიერ განსახილველ საქმეებთან მიმართებით და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაშიც, სადაც მხოლოდ 1 მოსამართლე ასრულებს უფლებამოსილებას;

- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც:
    - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2 მოსამართლეს სამოქალაქო საქმეთა პალატის თითო-თითო საქმე გაუნაწილდათ, ხოლო საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1 საქმე, რაც ლეგიტიმურობასთან დაკავშირებულ კითხვებს აჩენს;
    - მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე მაინც გაუნაწილდა საქმე ელექტრონული განაწილების წესის მოთხოვნის დარღვევით;[17]

[16] 2018 წლის 2 აგვისტოს ნინო გვენეტაძე გადადგა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან და დატოვა სასამართლო სისტემა.

[17] საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-4 მუხლის 14[1] პუნქტის მიხედვით, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში, როგორც წესი, მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.

2. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის მეთოდოლოგია

2.1. ზოგადი ინფორმაცია:

GDI აწარმოებს საქართველოს საერთო სასამართლოებში 2017 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედებულ საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგს.

სისტემა საქმეებს ანაწილებს 3 წესით:

(1) შემთხვევითი განაწილების წესი (ერთი და იმავე სპეციალიზაციაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მყოფი რამდენიმე მოსამართლეზე "random choose" პრინციპით);
(2) საგამონაკლისო წესი (როდესაც ერთ საქმესთან დაკავშირებული შუამდგომლობები, განცხადებები, საჩივრები და ა.შ. ნაწილდება იმ მოსამართლესთან რომელსაც საქმე აწერია, ასევე კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში);
(3) მორიგეობის წესი (წინასწარ დადგენილია მორიგეობის რიგითობა და იმ საქმეებზე რომელთა განსახილველად დადგენილია 24, 48 ან 72 საათიანი ვადა იხილავს მორიგე მოსამართლე);

GDI-ის ინტერესის სფეროში ექცევა შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმეთა განაწილება, რამდენადაც აქ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა და წარმოებაში არსებულ საქმეთა (სარჩელებს, შუამდგომლობებს, საჩივრებს და ა.შ) შორის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 3 საქმეს.

თუ, ერთ რომელიმე თვეში, შემთხვევითი განაწილებით განაწილებულ საქმეებზე მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეებს შორის განსხვავება 3-ზე მეტია, ეს უნდა აიხსნებოდეს ერთ - ერთი, ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორით:

- **დატვირთულობის მაჩვენებელი**
  - (რომელიც განსხვავდება თავმჯდომარისათვის, ძველი და ახალი მოსამართლეებისათვის და სხვა, რასაც თავმჯდომარე განსაზღვრავს)

- **უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობის არქონა**
  - (შვებულება, ავადმყოფობა, მივლინება და ა.შ.)

2.2. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიზანი:

მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიზანია იმ ცვლადების იდენტიფიცირება და ანალიტიკური მიდგომის განსაზღვრა, რომელიც თანაბარი განაწილების პრინციპის დაცვის მონიტორინგს უზრუნველყოფს.

1. **მონიტორინგის არეალი:**

მონიტორინგი ხორციელდება 8 სასამართლოში, სადაც არსებობს კოლეგია/პალატა (მათ შორის ვიწრო სპეციალიზაცია) და შესაბამისად მოქმედებს შემთხვევითი განაწილების პრინციპი.

(1) საქართველოს უზენაესი სასამართლო
(2) თბილისის სააპელაციო სასამართლო
(3) ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
(4) თბილისის საქალაქო სასამართლო

(5) ქუთაისის საქალაქო სასამართლო
(6) ბათუმის საქალაქო სასამართლო
(7) გორის რაიონული სასამართლო
(8) რუსთავის საქალაქო სასამართლო

2. ცვლადები ანალიტიკური მოდელისთვის (input variables)

(1) **მოსამართლეთა რაოდენობა** სპეციალიზაციის მიხედვით (სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული)
(2) მოსამართლეებზე სისტემის მიერ განაწილებულ **საქმეთა რაოდენობა** (მხოლოდ შემთხვევითი განაწილების წესით);
(3) უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობის არქონა (შვებულება, ავადმყოფობა, მივლინება და ა.შ)
(4) თითოეული მოსამართლის დატვირთულობის მაჩვენებელი

ამ ცვლადების შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოხდება საკვლევი 8 სასამართლოდან/საბჭოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია ყველა ცვლადის შესახებ ინფორმაციის ქონა.

2.3. მონიტორინგის პერიოდულობა

შემოთავაზებული მეთოდოლოგიით საქმეთა განაწილების მონიტორინგი წარმოებს ყოველთვიურად, თუმცა, შესაძლებელია მოხდეს 2 ან მეტი თვის მონაცემთა აგრეგაცია, რაც უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას მოგვცემს.

2.4. ანალიტიკური მოდელის აღწერა

2.1 შემავალი ცვლადები (Input variables)

ცხრილი 1-ში სამაგალითოდ მოცემულია ინფორმაცია, რომლის გამოთხოვნაც მოხდება რომელიმე საკვლევი სასამართლოდან:

ცხრილი 1	საქმეების რ-ბა	დღეების რ-ბა, როდესაც მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას	დატვირთულობის კოეფიციენტი (%)
მოსამართლე 1	48	26	200%
მოსამართლე 2	24	26	100%
მოსამართლე 3	25	26	100%
მოსამართლე 4	25	26	100%
მოსამართლე 5	28	20	100%
მოსამართლე 6	7	20	50%
	157		

2.2 ცვლადების ანალიზი

შემავალი ცვლადების სახით გვაქვს 2 ცვლადი, დღეების რ-ბა, როდესაც მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას და დატვირთულობის მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კონკრეტული მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ რაოდენობა, რომელიც მიიღება იმ დღეების რ-ბის გადამრავლებით, როდესაც მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას, დატვირთულობის კოეფიციენტზე.

ცხრილი 2	საქმეების რ-ბა	დღეების რ-ბა, როდესაც მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას	დატვირთულობის კოეფიციენტი (%)	უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ რ-ბა
მოსამართლე 1	48	26	200%	52
მოსამართლე 2	24	26	100%	26
მოსამართლე 3	25	26	100%	26
მოსამართლე 4	25	26	100%	26
მოსამართლე 5	28	20	100%	20
მოსამართლე 6	7	20	50%	10
	157	144		160

უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ რ-ბა“ ითვალისწინებს დღეების რ-ბას, როდესაც მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას და ასევე დატვირთულობის კოეფიციენტს, შესაბამისად გვაძლევს წარმოდგენას თუ რამდენი „ეფექტური დღე“ ახორციელებდა უფლებამოსილებას კონკრეტული მოსამართლე.

მოცემულ მაგალითში 6 მოსამართლის მიერ ჯამურად ნამუშევარი დღეების რ-ბა შეადგენდა 144 დღეს, თუმცა 1, 2, 3, 4 მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებდა სრული თვე (პირობითად აღებულია 26 სამუშაო დღე), ხოლო 5 და 6 მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებდა 20 დღის განმავლობაში (მივლინების, შვებულების, ავადმყოფობის და ა.შ. გამო).

მაგალითში განხილულია შემთხვევა, სადაც მოსამართლე 1-ს ჰქონდა დატვირთულობის 200%-იანი კოეფიციენტი, მოსამართლე 6-ს კი 50%.

ამ სამაგალითო მოცემულობების გათვალისწინებით უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ ჯამური რ-ბა 160-ია. კონკრეტული მოსამართლის მაგალითზე, მოსამართლე 1 უფლებამოსილებას ახორციელებდა 26 დღე 200%-იანი დატვირთულობის კოეფიციენტით, შესაბამისად, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ რაოდენობა შეადგენდა 52 დღეს (მოცემულ სამაგალითო თვეში). სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისთვის 2-ჯერ მეტი საქმის გადანაწილება უნდა მომხდარიყო.

მოსამართლე 6 უფლებამოსილებას ახორციელებდა 20 დღე 50%-იანი დატვირთულობის მაჩვენებლით, შესაბამისად, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების „ეფექტური დღეების“ რაოდენობა შეადგენდა 10 დღეს.

2.3 მეთოდოლოგიის სიზუსტე

გამომდინარე იქედან, რომ საქმეების განაწილების პროცესი ყოველდღიურია, მონიტორინგი კი ხორციელდება ყოველთვიურად, ეს ნიშნავს, რომ მიდგომა ემყარება თვის შედეგების აგრეგაციას. ნებისმიერი აგრეგაცია გარკვეულწილად ამცირებს მონაცემების სიზუსტეს და ემყარება დაშვებას, რომ ყველა ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს განაწილებაზე (დატვირთულობის მაჩვენებელი და მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა თუ მისი დროებით შეზღუდვა ავადმყოფობის, მივლინებისა თუ შვებულების გამო) ყოველდღიურ რეჟიმში არის ცნობილი და მიღებული მხედველობაში საქმეების თანაბარი განაწილებისას სისტემის მიერ;

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ცვლადების დიდი ნაწილი წინასწარ ცნობილია და საქმეთა რაოდენობაში დასაშვებ განსხვავებად მიღებულია 3 საქმე, უნდა ჩავთვალოთ, რომ შემოთავაზებული მეთოდოლოგია საკმარისად ზუსტია იმის გასაზომად, თუ რამდენად ეფექტურად და გამართულად მუშაობს საქმეთა განაწილების სისტემა 1 თვის ჭრილში. ორ თვეში ერთხელ მონაცემების ანალიზი ამ მეთოდოლოგიით, ამცირებს მის თეორიულ უზუსტობას, ისევე როგორც საქმეთა განაწილების სისტემის მიერ დაშვებულ შესაძლო უზუსტობასაც. (შესაძლოა გარკვეული გარემოებების ზეგავლენით თანაბარი განაწილების პრინციპი დაირღვას, მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სისტემაში ინტეგრირებულია მექანიზმი, რომელიც ამ უზუსტობას ასწორებს, რაც აისახება მომდევნო თვეში. შესაბამისად 2 თვიან პერიოდში საქმეთა რაოდენობა უნდა გათანაბრდეს).

3. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

3.1. საერთო სასამართლოებში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქმეთა განაწილების ახალი წესით განაწილდა 259,047 საქმე.

მათ შორის: ა) I ინსტანციის (რაიონულ (საქალაქო)) სასამართლოებში სულ განაწილდა 231,886 საქმე, რომელთაგანაც:



ბ) II ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში სულ განაწილდა 22 267 საქმე, რომელთაგანაც:



გ) III ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოში სულ განაწილდა 4894 საქმე, რომელთაგანაც:



საქმეთა განაწილება, **განაწილების ტიპების მიხედით** შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) I ინსტანციის (რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში:



ბ) II ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში:



გ) III ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოში:



აღსანიშნავია, რომ ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე[18], პირდაპირი განაწილებით 2018 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ჯამში პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში განაწილდა 129 საქმე, მათგან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში - 122 საქმე, ხოლო სააპელაციო სასამართლოებში - 7.

რაც შეეხება პროგრამულ შეფერხებებს, ისინი გამოიკვეთა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა[19] და რუსთავის საქალაქო სასამართლოში.[20] მათგან მხოლოდ ორ შემთხვევაში აღემატებოდა შეფერხების ხანგრძლივობა 3 საათს, ამიტომაც საჭირო გახდა 24 საათამდე განსახილველი 8 საქმის რიგითობის წესით განაწილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და 10 საქმის ელექტრონული პროგრამის გარეშე, რიგითობის წესით განაწილება რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

3.2. მოსამართლეთა დატვირთულობა

საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეებს შორის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას. თუმცა, საქმეების განაწილება ხდება სასამართლოში შემოსული საქმეების რაოდენობის და არა მოსამართლეთა წარმოებაში არსებული საქმეების მიხედვით.[21] შესაბამისად, თანაბარი დატვირთულობის მიზნისათვის ელექტრონული განაწილების წესის ამოქმედებამდე მოსამართლის წარმოებაში არსებული თუ დასრულებული საქმეების რაოდენობას მნიშვნელობა არ ენიჭება, რაც თანაბარი დატვირთულობის მქონე მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის რეალურად გათანაბრებას ძალზე შორეულ პერსპექტივად აქცევს.

გარდა ამისა, შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის შემთხვევითი პრინციპით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.[22] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ინსტანციის მიხედვით ინდივიდუალურია იმ საქმეთა კატეგორიების ჩამონათვალი, რომლებშიც მოსამართლეებზე შემთხვევითობის პრინციპით განაწილებული საქმეების თანაბრობა უნდა შემოწმდეს. საქმეთა კატეგორიების ჩამონათვალი დეტალურად თითოეული ინსტანციის ქვეთავშია მოცემული.

საყურადღებოა, რომ ზოგადი წესის თანახმად, თითოეული მოსამართლის დატვირთულობა 100%-ით განისაზღვრება. აღნიშნული გულისხმობს, რომ მათ საქმეები სრული

[18] ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე ნაწილდება საქმეები, როდესაც ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება პროგრამული შეფერხება, რომლის ხანგრძლივობაც აღემატება 2 დღეს, გარდა დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებისა, ასევე იმ საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია. აღნიშნულ საქმეებს სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ანაწილებს, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება სამ საათს.

[19] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წერილი საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას. N2094-3. 19.02.2018.

[20] რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილი საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას. N157/გ. 22.03.2018

[21] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017, მუხლი 5.1. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[22] იქვე, მუხლი 5.3.

დატვირთულობით ეწერებათ. მაგალითად, თუ სპეციალიზაციაში ოთხი 100%-იანი დატვირთულობის მოსამართლეა და სასამართლოში ამ სპეციალიზაციის 80 საქმე შემოვიდა, თითოეულ მოსამართლეს იდეალურ შემთხვევაში 20-20 საქმე გაუნაწილდება. თუმცა, ამ წესიდან არსებობს მოსამართლეთა გარკვეული კატეგორიისთვის დადგენილი გამონაკლისები. კერძოდ:

- საბჭოს მდივანი - 5%;
- საბჭოს წევრი - 20%;
- საბჭოს წევრი, რომელიც იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეა - 10%;
- იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს - 50%, ხოლო თუ აღემატება 7-ს, მაშინ 20%-ს;
- ახლად გამწესებული მოსამართლე (მათ შორის, სხვა სასამართლოში მივლენილი ან მივლინების ვადა ამოწურული მოსამართლე) – 200%;[23]
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლე - 175%[24] ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, შემდეგ კი - 200%;

ამრიგად, თუ სასამართლოში სამი 100%-იანი და ერთი 20%-იანი დატვირთულობის მოსამართლეა, ამ უკანასკნელს 5-ჯერ ნაკლები საქმე უნდა დაეწეროს სრული დატვირთულობის მქონე 3 მოსამართლესთან შედარებით. ანალოგიური ლოგიკა ვრცელდება 5%, 10%, 50%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეებთან მიმართებითაც. რაც შეეხება 175% და 200%-იანი დატვირთულობის შემთხვევებს, ამჯერად, პირიქით, მოსამართლეებს 1,75-ჯერ და 2-ჯერ მეტი საქმე უნდა გაუნაწილდეთ.

100%-ზე ნაკლები დატვირთულობის მქონე მოსამართლეების შემთხვევაში გამონაკლისის არსებობა აიხსნება იმით, რომ ისინი, გარდა მოსამართლის უფლებამოსილებისა, საბჭოს წევრის ან/და სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის ან სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებასაც ახორციელებენ. ბუნებრივია, მათი ნაკლები დატვირთულობის საპირწონედ, უფრო მეტი საქმე ეწერებათ სრული დატვირთულობის მქონე მოსამართლეებს. თუმცა, რამდენად მიზანშეწონილია და რამდენად ემსახურება მართლმსაჯულების დროულად განხორციელების პრინციპს ზოგიერთი მოსამართლის ამგვარი შემცირებული დატვირთულობა საქმეთა დიდი ნაკადით განპირობებული გადატვირთულობის პრობლემის გათვალისწინებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მით უფრო, რომ საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობაა, რაც ამ პრობლემის გამომწვევი ერთ-ერთი საფუძველია. ცალკე საკითხია, თუ რამდენად „ამართლებენ“ აღნიშნული წევრები თავიანთი საქმიანობით შემცირებული დატვირთულობის მიზანს.

---

[23] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/263 გადაწყვეტილებით, ახლად დანიშნული მოსამართლის პროცენტული დატვირთულობა გაიზარდა კიდევ 100%-ით და 300% შეადგინა. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/263-2018%20001.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

[24] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1.263 გადაწყვეტილებით, ამ ტიპის მოსამართლის დატვირთულობა 150%-მდე შემცირდა. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/263-2018%20001.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 20 მარტს].

4. საქმეთა განაწილება

4.1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები

რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეთა დატვირთულობა და, მათ შორის, შემთხვევითი განაწილების წესით განაწილებულ საქმეთა შორის დასაშვები 3 (სამ) საქმიანი სხვაობა განსხვავებულადაა შემოწმებული. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში - თითოეული კოლეგიის ვიწრო სპეციალიზაციაში, ხოლო სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში:

- **ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში** - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს (72 საათზე მეტი), განცხადებებს ან სარჩელებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით (24 სთ), სასარჩელო წარმოებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[1]-VII[14] თავებით გათვალისწინებულ საქმეებს, შემაკავებელი ორდერის კანონიერების შემოწმებისა (72 სთ ნაკლები) და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის.
- **სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში** - განცხადებებს ან სარჩელებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით (24 სთ), სასარჩელო/არასასარჩელო წარმოების საქმეებსა და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის.
- **სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში** - ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ეტაპის საქმეებს (24 სთ), კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაწილეობით განსახილველი სისხლის სამართლის საქმეებს (რომლებზეც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული არ არის პატიმრობა), საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს (48 სთ), სისხლის სამართლის არსებითად განსახილველ საქმეებს, წინასასამართლო სხდომის ეტაპის საქმეებს, წინასწარ მოხსენებითი ბარათით განაწილებული წინასასამართლო სხდომის ეტაპის საქმეებსა და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ 11 თვის თავზე არცერთი სასამართლოს კოლეგიებში/ვიწრო სპეციალიზაციებში არ არის დაბალანსებული და გათანაბრებული ერთნაირ დატვირთულობის მქონე მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობები ყველაზე დატვირთულ კომპონენტებში. მათ ნაწილს მოსალოდნელ რაოდენობასთან შედარებით ბევრად მეტი საქმე დაეწერა, ნაწილს კი, პირიქით, გაცილებით ნაკლები. მათ შორის იმ მოსამართლეებსაც, რომელთაც ერთნაირი ან თითქმის იდენტური რაოდენობის დღეები აქვთ ნამუშევარი. საყურადღებოა, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში არსებობს სათანადო ბერკეტი იმისათვის, რათა მოსამართლეთა შორის საქმეების თანაბრად განაწილება უზრუნველყოფილი იყოს. კერძოდ, სპეციალიზაციაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა შორის 3-საქმიანი სხვაობის შემცირებამდე ელექტრონული განაწილების სისტემიდან იმ მოსამართლის გამოთიშვა, რომელზეც სპეციალიზაციაში/ვიწრო სპეციალიზაციაში ყველაზე მეტი საქმე განაწილდა. ეს მექანიზმი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შვებულების, მივლინების თუ სხვა მიზეზით სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებით გამოწვეული საქმეთა არათანაბარი რაოდენობის დაბალანსებისთვის. თუმცა, 11 თვიან პერიოდში, რაც საკმაოდ დიდი დროა მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობების

დასაბალანსებლად, ელექტრონული განაწილების სისტემამ ეს ვერ უზრუნველყო. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ ელექტრონული პროგრამის შესაბამისი ალგორითმი, რომელმაც მოსამართლეებზე საქმეების თანაბრად განაწილება უნდა უზრუნველყოს, არაზუსტია და საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შესაბამისად არ ფუნქციონირებს.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კოლეგიაში/ვიწრო სპეციალიზაციაში ორი მოსამართლის ყოფნის გამო, გარკვეული პერიოდების განმავლობაში, როდესაც ერთ მათგანს შეჩერებული ჰქონდა უფლებამოსილება შვებულების, მივლინების თუ სხვა საფუძვლით, სასამართლოში შემოსული საქმეები მხოლოდ მეორე მოსამართლეს ეწერებოდა. შესაბამისად, არ მუშაობდა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მთავარი საფუძველი - შემთხვევითი პრინციპი. ანალოგიური ფაქტები დაფიქსირდა ასევე რუსთავისა და გორის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებშიც, სადაც უფლებამოსილებას 3 მოსამართლე ახორციელებს.

4.1.1. თბილისის საქალაქო სასამართლო



თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით[25] განსაზღვრულია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 5-5, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 6.

2018 წლის 01 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ჯამში 62,462 საქმე განაწილდა.

საქმეები უნაწილდებოდათ:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 26 მოსამართლეს;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 45 მოსამართლეს;

სამოქალაქო კოლეგიაში ასევე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული საქმეების განმხილველ 3 მოხელეს.



[25] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/92-2006. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/92.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 5 მარტს].

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 40 მოსამართლეს.

მათგან საგამონაკლისო წესით შემცირებული დატვირთულობით საქმეები ნაწილდებოდა 4 მოსამართლეზე (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, მდივანი, სასამართლოსა და კოლეგიის თავმჯდომარეები), ხოლო გაზრდილი დატვირთულობით - 10 მოსამართლეზე. ამ უკანასკნელთა ნაწილის საქმეთა რაოდენობის 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეების საქმეთა რაოდენობასთან გათანაბრება მაისი-ივნისიდან დაიწყო. 2018 წლის ნოემბრის თვის მონაცემებით გაზრდილი დატვირთულობის მქონე მოსამართლეთა რაოდენობა 3-ს შეადგენს. შესაბამისად, ფაქტია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი და ელექტრონული სისტემის შესაბამისი ალგორითმი, რომელმაც ამ ტიპის მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობების გათანაბრება უნდა უზრუნველყოს სპეციალიზაციაში მოსამართლეთა საქმეების საშუალო მაჩვენებელთან, არაეფექტურია, რადგან მან 11 თვის განმავლობაში ვერ შეძლო მოსამართლეთა დატვირთულობის გათანაბრება. არაეფექტურობა განპირობებულია იმით, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის ამოქმედების მომენტისთვის, სათანადოდ არ იყო გააზრებული ის, თუ როგორი პროცენტული დატვირთულობა უზრუნველყოფდა მაქსიმალურად მცირე ვადაში ახლად გამწესებული, ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლეების საქმეთა რაოდენობის გათანაბრებას 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეთა მაჩვენებლებთან.

საყურადღებოა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს (ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს) თავმჯდომარის მხრიდან ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილება, რაც კანონის საკამათო ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვანი ბერკეტია საქმეთა განაწილების პროცესზე ზემოქმედებისათვის. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, კერძოდ, ბრძანების საფუძველზე ამა თუ იმ ვიწრო სპეციალიზაციაში მისთვის სასურველ მოსამართლეთა თავმოყრა (ნებისმიერ) საჭირო დროს. ამას, თავის მხრივ, გარკვეულწილად ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ საქმეების მოსამართლეებზე განაწილება სასამართლოში შემოსვლისთანავე არ ხდება და არც რაიმე აქტით არის დარეგულირებული საქმის განაწილების სავალდებულო დრო. ის, რომ სასამართლოს თავმჯდომარე პრაქტიკაში აქტიურად იყენებს ამ უფლებამოსილებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მონიტორინგის შედეგად დადასტურდა. სასამართლოს თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბრძანებით 6-ჯერ შეცვალა ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობა, მათ შორის 3-ჯერ თვითონაც შეიცვალა. ყველაზე მასობრივი გადაადგილებები კი სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დაფიქსირდა. გაუგებარია, რამ განაპირობა ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობებში ცვლილებების ასეთი სიხშირით შეტანის აუცილებლობა. ამრიგად, ზემოთ გამოთქმული ეჭვი საქმეთა განაწილების პროცესზე თავმჯდომარის მხრიდან ზეგავლენის მოხდენასთან დაკავშირებით, საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ.

4.1.1.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



ვიწრო სპეციალიზაციების ხშირი ცვლილების უარყოფითი შედეგია ისიც, რომ იგი გარე დამკვირვებელს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მონიტორინგის პროცესში ხელს უშლის მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის მოთხოვნის პრაქტიკაში დაცულობის შემოწმებაში. 11 თვის ჯამური მონაცემების შეფასებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა ასევე გაზრდილი დატვირთულობის მქონე მოსამართლეების დატვირთულობის ცვლილებაც. ამრიგად, მონიტორინგის ფარგლებში შეუძლებელი გახდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“, სამოქალაქო კოლეგიის - „ა“, „ბ“ და „დ“, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ვერცერთ სპეციალიზაციაში მოსამართლეთა დატვირთულობის მოთხოვნის ჯამურად 11 თვის მონაცემების საფუძველზე შეფასება.

კოლეგია/კატეგორია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული „ა“	ხატია არდაზიშვილი	545	თამარ ოქროპირიძე	476
ადმინისტრაციული „ბ“	თამარ ხაჟომია	404	ლეილა მამულაშვილი	362
ადმინისტრაციული „გ“	დავით წერეთელი	278	ივანე ღლონტი	261
ადმინისტრაციული „დ“	ანა ჩხეტია	352	ეკატერინე ჯინჭველაშვილი	345
ადმინისტრაციული „ე“	ლაშა თავართქილაძე	1487	ქეთევან მინაშვილი	869
სამოქალაქო „ა“	ანა ჩოგოვაძე	263	ვერა დობორჯგინიძე	230
სამოქალაქო „ბ“	შორენა ჯანხოთელი	542	თინათინ ეცადაშვილი	410
სამოქალაქო „ბ1“	ნათია შიოშვილი	6906	ტარიელ ტაბატაძე	6778
სამოქალაქო „გ“	ლელა ცანავა	328	ზოია კვარაცხელია	298
სამოქალაქო „დ“	ქეთევან კუჭავა	191	ირაკლი კოპალიანი	139
სამოქალაქო „ე“	ლაშა ქოჩიაშვილი	52	ლევან მიქაბერიძე	31
ი/ფ/დ	ნინო ილურიძე	330	ეკატერინე ქეცბაია	297
სისხლი „ა“	ეკა არეშიძე	166	ლელა შკუბულიანი	133
სისხლი „ბ“	დავით მგელიაშვილი	166	გიორგი არევაძე	122
სისხლი „გ“	ლელა ნოზაძე	171	ბადრი კოჭლამაზაშვილი	140
სისხლი „დ“	გიორგი ებანოიძე	172	მაია ქოქიაშვილი	149
სისხლი „ე“	რომან ხორავა	1525	გიორგი კერატიშვილი	1271
სისხლი „ვ“	ვახტანგ მრელაშვილი	742	ნატო ხუჯაძე	587

საყურადღებოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ვასილ მშვენიერაძეს 11 თვის განმავლობაში განხილული აქვს „გ“ კატეგორიის მხოლოდ 1, ხოლო „ე“ კატეგორიის - 8 საქმე. წესის მიხედვით, მასზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება განაწილდეს საქმეები, ისიც, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.[26] თუმცა, გაუგებარია, რა იგულისხმება „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, ასევე, ვინ ადგენს „განსაკუთრებული შემთხვევის“ არსებობას და რა დროის განმავლობაში შეიძლება იგი არსებობდეს. აღნიშნული ჩანაწერი საქმეთა დიდი ნაკადისა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის პირობებში არამხოლოდ აზარალებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს, არამედ ხელს უწყობს სასამართლოს თავმჯდომარეს, მხოლოდ მაშინ შეუერთდეს საქმეთა განაწილების პროცესს, როდესაც თვითონ გადაწყვეტს, როდესაც საამისო გარკვეული დაინტერესება ექნება.

4.1.1.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

შემთხვევითი განაწილების წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებიც მოცემულია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-3 მუხლში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ის გარემოებები, როდესაც:

- რაიონულ სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა ან შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს, ასევე, როდესაც შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს;
- ერთი მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის, შუამდგომლობის, განმეორებითი სარჩელის, საჩივრის, ასევე, სარჩელის მიღების შემდეგ იმავე მხარეების მიერ იმავე საგანზე იმავე საფუძვლით სარჩელის განმეორებით წარდგენისას და ა.შ. საქმეების ავტომატურად მოხვედრა იმავე მოსამართლის წარმოებაში;
- კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისას, როდესაც საქმე უნდა მოხვდეს კონკრეტულ მოსამართლესთან ან საქმის კატეგორიის მიხედვით იგი მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის განსჯადია;
- სხვა შემთხვევებში, რომლებიც პირდაპირ არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, თუმცა საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის საფუძველზე, საგამონაკლისო წესის შესაბამისად ნაწილდება;

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, თბილისის საქალაქო სასამართლოში საგამონაკლისო წესით, პირდაპირი განაწილებით განაწილდა 17,683 საქმე, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში -1181, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 6894, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 9618. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები პირდაპირი წესით განაწილებულ საქმეებთან მიმართებით იხილეთ *დანართ №1-ში.*

[26] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება №1/56. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/1-56.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 11 აპრილს].

4.1.1.3. მორიგეობის წესით განაწილებული საქმეები

საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით. ამ შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება. ამასთან, მორიგეობის წესი მოქმედებს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, ისიც ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებში.

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ამგვარი წესით ჯამში 11,201 საქმე განაწილდა, აქედან 4884 ადმინისტრაციული, ხოლო 6317 სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში თითოეული მორიგეობისთვის განსაზღვრულია 1 მოსამართლე ადმინისტრაციულ საქმეებზე და 3 სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე.[27] საქმეები ნაწილდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მორიგეობის გრაფიკი დგება თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული კოლეგიის მოსამართლეთა ანბანური რიგითობითა და ინდექსაციის მიხედვით. ყოველი თვის დასაწყისიდან მოქმედებს ახალი მორიგეობის სია.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგეობა დადგენილია:

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განსახილველი საქმეებში;[28]
- გამოძიების ეტაპის საქმეებში (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, შუამდგომლობები და გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, გამოძიების ეტაპთან დაკავშირებული სხვა საკითხები);[29]

უფრო დეტალურად მორიგეობის წესით განაწილებულ საქმეთა რაოდენობების შესახებ სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ #1-ში.*

[27] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N3-04112/2659535.

[28] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N3-06119/55442.

[29] იქვე

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

4.1.2.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით 10 მოსამართლეზე ჯამში 7636 საქმე განაწილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, ამ სასამართლოშიც იყო 200%-იანი დატვირთულობის მქონე 2 მოსამართლე (სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებში). ერთის შემთხვევაში დატვირთულობის მაჩვენებელი 100%-ს მაისიდან გაუთანაბრდა, მეორისა კი - ივლისიდან. სწორედ პროცენტული დატვირთულობის ცვლილებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ ამ ორ მოსამართლეს სხვებთან შედარებით ყველაზე მეტი საქმე აქვთ განაწილებული. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარის, ლერი თედორაძის დატვირთულობას, განსხვავებით თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისაგან, მას 100%-იანი დატვირთულობით ეწერება საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ მისი დატვირთულობა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, 20%-ია. აღნიშნული ფაქტი, გარკვეული თვალსაზრისით მოსამართლის მაღალ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, როგორც საზოგადოების, ისე მისი კოლეგების მიმართ, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ სისტემაში მოსამართლე ლერი თედორაძის დატვირთულობად შეყვანილი მონაცემი ეწინააღმდეგება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილ მოთხოვნას და არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი.

4.1.2.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში პირდაპირი წესით ჯამში 2020 საქმე განაწილდა. აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 61, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 607, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 1352. კოლეგიებს შიგნით უფრო დეტალური სტატისტიკური მონაცემემები იხილეთ *დანართ №2-ში.*

4.1.2.3. მორიგეობის წესით განაწილებული საქმეები

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მორიგეობის წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ჯამში 3732 საქმე განაწილდა. აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 591, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 3141.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეების მორიგეობის სია დგება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, მოსამართლეებთან შეთანხმებით, მათი საპროცესო დღეებისა და შვებულების გათვალისწინებით. მორიგეობა 1-კვირიანია.[30] გრაფიკის შედგენა კი ერთთვიანი პერიოდით ხდება და, შესაბამისად, განახლდება თვეში ერთხელ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორიგეობა დაწესებულია სასამართლოში შემოსულ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამოძიებო, საპროცესო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობებზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ 24 და 48 საათის (ორი დღის) განმავლობაში განსახილველ საქმეებზე. მორიგეობის წესით გასანაწილებელ საქმეთა ზუსტი ჩამონათვალი შემდეგია:[31]

- შუამდგომლობა ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;
- შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- ფსიქიატრიულში მოთავსება;
- შუამდგომლობა მიგრაციის შესახებ;
- უზრუნველყოფა (დროებით განკარგულებაზე);

უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №2-ში.*

4.1.2.4. ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე განაწილებული საქმეები

საყურადღებოა, რომ ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მხოლოდ იანვარ-თებერვალში გახდა საჭირო საქმეების განაწილება. ჯამში განაწილდა 8 საქმე. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ #2-ში.*

[30] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N11743-3.

[31] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი N12306-3.

4.1.3. ბათუმის საქალაქო სასამართლო

4.1.3.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემთხვევითი განაწილების პრინციპით ჯამში 9573 საქმე განაწილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშიც, მსგავსად ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა, ორი მოსამართლე - ირაკლი შავაძე და ჯუმბერ ბეჟანიძე ახორციელებდა უფლებამოსილებას. საყურადღებოა, რომ მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძეს 11 თვის განმავლობაში 5-ით მეტი ნამუშევარი დღე უფიქსირდება, თუმცა, თითქმის ყველა კომპონენტში მისი მაჩვენებლები ჩამორჩება საქმეთა მოსალოდნელ რაოდენობას, ხოლო მოსამართლე ირაკლი შავაძისა, პირიქით, აღემატება. აღნიშნული შესაძლოა გარკვეულწილად კავშირშიც იყოს მოსამართლე ირაკლი შავაძის დაპირისიპირებასთან სასამართლოს თავმჯდომარესთან. სავსებით შესაძლებელია, რომ კოლეგიაში მოსამართლეთა მცირე რაოდენობა და მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების შესაძლებლობა ბოროტად იქნა გამოყენებული.

11 თვის მანძილზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსხვავებული რაოდენობის საქმეები გაუნაწილდათ ერთნაირი ნამუშევარი დღეების მქონე მოსამართლეებს, რაც კვლავ ელექტრონული სისტემის გაუმართავი ალგორითმით შესაძლოა იყოს განპირობებული.

კოლეგია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული	ირაკლი შავაძე	1065	ჯუმბერ ბეჟანიძე	783
სამოქალაქო	ირმა ტოგონიძე	1235	ხათუნა ბოლქვაძე	1094
სისხლი	ლევან გელოვანი	495	ვიოლეტა ფორჩხიძე	455

საყურადღებოა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს, დავით მამისეიშვილს, რომელიც უფლებამოსილებას სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ახორციელებს, მოსალოდნელთან შედარებით 10 საქმით ნაკლები დაეწერა „წინასასამართლო სხდომის წინასწარ მოხსენებითი ბარათით განაწილების“ კომპონენტში, რაც იმითაა გამოწვეული, რომ 230 დღიდან იგი მხოლოდ 157 დღის განმავლობაში ასრულებდა მოსამართლის უფლებამოსილებას. საქმეთა გადატვირთულობის პრობლემის გათვალისწინებით, საყურადღებოა, მოსამართლის მიერ, რომელსაც ისედაც შემცირებული, 20%-იანი დატვირთულობით ეწერება საქმეები, ასეთი სიხშირით შვებულების, მივლინების, ბიულეტენის თუ სხვა მიზეზით მოსამართლის უფლებამოსილების შეუსრულებლობის მიზანშეწონილობის საკითხი.

4.1.3.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, პირდაპირი წესით ჯამში 1862 საქმე განაწილდა, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 72, სამოქალაქოში - 642, ხოლო სისხლში - 1148. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №3-ში.*

4.1.3.3. მორიგეობის წესით განაწილებული საქმეები

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, მორიგეობის წესით მოსამართლეებს ჯამში 4371 საქმე გაუნაწილდათ, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 1225, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 3146.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეების მორიგეობის სია დგება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, მოსამართლეებთან შეთანხმებით, მათი საპროცესო დღეებისა და შვებულების გათვალისწინებით.[32] მივლინების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში მორიგეობის გრაფიკში ხორციელდება ცვლილებების შეტანა. მორიგეობა 1-კვირიანია, ორშაბათი დღის 09:00-დან კვირა დღის 24:00 საათის ჩათვლით. გრაფიკის შედგენა კი სამთვიანი პერიოდით ხდება და, შესაბამისად, განახლდება ყოველ სამ თვეში ერთხელ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მორიგეობა დაწესებულია სასამართლოში შემოსულ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამოძიებო, საპროცესო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობებზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ 24 საათის (ერთი დღის) განმავლობაში განსახილველ საქმეებზე. სასამართლოში, როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეებში მორიგეობს ორი მოსამართლე: ერთი - აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობებსა და კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებულ შუამდგომლობებზე; მეორე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე.

მორიგეობის წესით გასანაწილებელ საქმეთა ზუსტი ჩამონათვალი შემდეგია:[33]

- შუამდგომლობა ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;
- შუამდგომლობები საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით;
- შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- შუამდგომლობა სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ;
- შუამდგომლობა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიულში დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ;

[32] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი N797-გ/კ.
[33] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი N884-გ/კ.

- მიგრაციის დეპარტამენტის შუამდგომლობა უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ;
- უზრუნველყოფა (დროებით განკარგულებაზე);

უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №3-ში.*

4.1.4. რუსთავის საქალაქო სასამართლო

4.1.4.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



საანგარიშო პერიოდში რუსთავის საქალაქო სასამართლოში ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე ჯამში 6560 საქმე განაწილდა. აქ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მხოლოდ ორი მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, შემთხვევითი განაწილების პრინციპის მოქმედებას გამორიცხავდა გარკვეული პერიოდების განმავლობაში.

სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიაში საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა, შეიცვალა ასევე ზოგიერთი მოსამართლის დატვირთულობაც. შესაბამისად, 11 თვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის ჯამურად შემოწმება შეუძლებელი გახდა.

კოლეგია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული	ნატა თედეშვილი	359	ნინო ონიანი	350
სამოქალაქო	ეკატერინე ყანჩელი	1608	დიანა გოგატიშვილი	1393
სისხლი	ეკატერინე პართენიშვილი	589	ქეთინო ლუაშვილი	532

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატაში ერთი სასამართლოს მაგისტრი მოხელე ახორციელებს უფლებამოსილებას. შესაბამისად, საანგარიშო მაგისტრი მოხელის განსახილველი საქმეები მხოლოდ მასზე ნაწილდებოდა, რაც ასევე გამორიცხავს შემთხვევითი განაწილების პრინციპის მოქმედებას.

რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეს, მამია ფხაკაძეს, როგორც უკვე აღინიშნა, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, მისი დატვირთულობა 20%-ს შეადგენს. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად კი დგინდება, რომ მას ყველა კომპონენტში

მოსალოდნელთან შედარებით მეტი საქმე გაუნაწილდა, რაც ელექტრონული სისტემის ხარვეზიანობაზე მიუთითებს.

4.1.4.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, საგამონაკლისო წესით, პირდაპირი განაწილებით მოსამართლეებს შორის ჯამში განაწილდა 2156 საქმე, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 61, სამოქალაქოში - 393 ხოლო სისხლში - 1702. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №4-ში.*

4.1.4.3. მორიგეობის წესით განაწილებული საქმეები

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მორიგეობის წესით ჯამში 707 საქმე განაწილდა, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 323 საქმე, ხოლო სისხლის სამართლის კოლეგიაში - 384 საქმე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ კოლეგიაში მორიგეობის სია დგება რიგითობით და თავად მოსამართლეების სურვილისა და მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით.[34] სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, სამუშაო საათებში სისხლის სამართლის საქმეები ნაწილდება სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ ყველა მოსამართლეზე, ხოლო არასამუშაო საათებში - ყოველთვე დგება სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მორიგეობის სია ისე, როგორც ადმინისტრაციულის შემთხვევაში. მორიგეობის სიის შედგენისას მოსამართლეთა სიტყვიერი თანხმობა საჭიროა და მორიგეობის გრაფიკის დამტკიცებამდე ხდება ყველა მოსამართლესთან შეთანხმება. წერილობითი თანხმობა მიიღება მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლისგან.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში არასამუშაო საათებში სისხლსა და ადმინისტრაციულში მორიგეობს თითო-თითო მოსამართლე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში მორიგეობს გარდაბნის მაგისტრატი მოსამართლე, იგი, როგორც მორიგე მოსამართლე იხილავს ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. მორიგეობის სია დგება ყოველთვიურად, ცალ-ცალკე ყოველი ახალი თვისთვის.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 28 ივნისის N184/თ ბრძანების მიხედვით, ამ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სამუშაო და არასამუშაო დღეებში მორიგეობის წესით განიხილავს შემდეგი სახეობის საქმეებს:[35]

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^1, 42^2, 45-ე, 142-ე, 153^3, 154-ე, 166-ე, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 174-ე, 174^1, 174^2, 175^2 მუხლებით

[34] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი N573/გ.

[35] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი N558/გ.

გათვალისწინებულ და სამართალდარღვევის საქმეები, რომლებზეც სამართალდამრღვევი დაკავებულია და ექვემდებარება დაუყოვნებლივ განხილვას;

- შუამდგომლობებს პირის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით, სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
- შუამდგომლობებს მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ;
- მიგრაციის დეპარტამენტის შუამდგომლობებს პირის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ;
- შემაკავებელ ორდერზე საჩივრებსა და შუამდგომლობებს არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისგან (მშობლებისგან) განცალკევების საკითხზე;
- საჩივრებს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის კანონიერების თაობაზე;
- უზრუნველყოფა (დროებით განკარგულებაზე);

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არასამუშაო დღეებში განიხილავს 72 საათამდე ვადაში განსახილველ საქმეებს, მათ შორის:

- შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ან/და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ;
- შუამდგომლობებს სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
- შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე;
- შუამდგომლობებს წინასასამართლო სხდომის ვადის შეცვლის შესახებ;
- შუამდგომლობებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ;
- შუამდგომლობებს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ბრალდებულისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის შეჩერების შესახებ;
- შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და პირის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
- შუამდგომლობებს ბრალდებული პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ;
- შუამდგომლობებს დაკავშირებულს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან;
- შუამდგომლობებს საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტიზისათვის გადაცემის მხარის დავალდებულების შესახებ;

უფრო კონკრეტულად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №4-ში.*

4.1.4.4. ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე განაწილებული საქმეები

ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე რუსთავის საქალაქო სასამართლოში თებერვლის თვეში ჯამში 10 საქმე განაწილდა. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №4-ში.*

4.1.5. გორის რაიონული სასამართლო

4.1.5.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით გორის რაიონულ სასამართლოში ელექტრონული სისტემის მეშვეობით ჯამში 5633 საქმე განაწილდა.



გორის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, ხოლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 3. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული პერიოდების განმავლობაში, მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების გამო, საქმეები მხოლოდ ერთ მოსამართლეზე ნაწილდებოდა, რაც გამორიცხავს შემთხვევითი განაწილების პრონციპის მოქმედებას. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლეს, დავით პაპუაშვილს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საქმე დაეწერა, მაშინ, როდესაც მას მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ჰქონდა დავალებული უფლებამოსილების განხორციელება.

საყურადღებოა, რომ განსხვავებული რაოდენობის საქმეები აქვთ განაწილებული სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიების იმ მოსამართლეებს, რომელთაც თითქმის ერთნაირი ნამუშევარი დღეები აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლე შალვა კაკაურიძე 230 სამუშაო დღიდან მხოლოდ 152 დღე ასრულებდა მოსამართლის უფლებამოსილებას. საქმეთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, შვებულებით, მივლინებით თუ სხვა მიზეზით მოსამართლის უფლებამოსილების ესოდენ დიდი პერიოდის განმავლობაში შეჩერება არ არის მიზანშეწონილი და არ უწყობს ხელს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

კოლეგია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული	დავით პაპუაშვილი	520	ნინო გერგაული	493
სამოქალაქო	ვალერიანე ფილიშვილი	766	ნინო შარაძე	739
სისხლი	გოგა კუპრეიშვილი	670	გერმანე დადეშქელიანი	507

გარდა ამისა, მოსამართლე გოგა კუპრეიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით[36] 18 იანვრიდან გამწესდა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. შესაბამისად, მასზე 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეებთან შედარებით 2-ჯერ მეტი საქმე უნდა განაწილებულიყო. თუმცა, მას არცერთ კომპონენტში არ აქვს

[36] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება N1/33. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/33-2018.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 06 მარტს].

დატვირთულობის შესაბამისი საქმეები განაწილებული, რაც საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს.

რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარე, ნიკოლოზ მარგველაშვილზე განაწილებული საქმეების რაოდენობას, იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეებს საქმეთა მოსალოდნელი რაოდენობა არ გაუნაწილდათ, სასამართლოს თავმჯდომარეს 20%-იან დატვირთულობასთან შედარებით მეტი საქმე დაეწერა.

4.1.5.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

გორის რაიონულ სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით პირდაპირი წესით ჯამში 1477 საქმე განაწილდა. აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 52, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 204, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 1221. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №5-ში.*

4.1.5.3. მორიგეობის წესით განაწილებული საქმეები

გორის რაიონულ სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით ჯამში 742 საქმე განაწილდა მორიგეობის წესით, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 70, ხოლო სისხლის სამართლის კოლეგიაში - 672.

გორის რაიონული სასამართლოში არასამუშაო დღეებში (საათებში) საქმეთა განაწილება ხდება მორიგე მოსამართლეზე ადრე არსებული რიგითობით, მოსამართლეთა თანხმობითა და ურთიერთშთანხმების საფუძველზე 1 თვის ვადით, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.[37] განახლება ხდება ყოველი თვის ბოლოს და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასამართლოში მორიგეობს ორი მოსამართლე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განმხილველი მოსამართლეები.

გორის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და გორის რაიონული სასამართლოს კასპის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლე არასამუშაო დღეებში მორიგეობისას განიხილავს შემდეგი სახეობის საქმეებს:[38]

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 153^3, 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 174-ე, 174^1, 174^2, 175^2 მუხლებით გათვალისწინებულ იმ სამართალდარღვევათა საქმეები, რომლებზეც სამართალდამრღვევი დაკავებულია და ექვემდებარება დაუყოვნებლივ განხილვას;
- შუამდგომლობებს პირის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით, სტაციონარულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;

[37] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე გორის რაიონული სასამართლოს პასუხი Nგ/ფ-11361

[38] „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წერილზე გორის რაიონული სასამართლოს პასუხი Nგ/ფ-12371.

- შემაკავებელ ორდერზე საჩივრებსა და შუამდგომლობებს არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისგან (მშობლებისგან) განცალკევების საკითხზე;
- საჩივრებს შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის კანონიერების თაობაზე;

გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არასამუშაო დღეებში განიხილავს შემდეგ საქმეებს:

- შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ან/და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ;
- შუამდგომლობებს სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
- შუამდგომლობებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე;
- შუამდგომლობებს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონიერად ცნობის შესახებ;
- შუამდგომლობებს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და პირის ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;
- შუამდგომლობებს ბრალდებული პირის მიმართ საექსტრადაციო პატიმრობის შეფარდების შესახებ;
- შუამდგომლობებს დაკავშირებულს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან;
- შუამდგომლობებს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც გირაოს შეტანის ვადა იწურება მოსამართლის მორიგეობის დღეს;

უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №5-ში.*

4.2. სააპელაციო სასამართლოები

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში ჯამში 69 მოსამართლეა, მათგან 54 უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის, ხოლო 15 - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საანგარიშო პერიოდში სააპელაციო სასამართლოებში, შემთხვევითი განაწილების პრინციპით, ჯამში განაწილდა 18,819 საქმე.



საანგარიშო პერიოდში გამონაკლისი წესით, პირდაპირი განაწილებით სულ 627 საქმე განაწილდა, რომელთაგან ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება 147 საქმე, სამოქალაქო კატეგორიას - 138, ხოლო სისხლის სამართლისას - 342.

აღსანიშნავია, რომ 2018 იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე სააპელაციო სასამართლოებში ჯამში განაწილდა 7 საქმე.

სააპელაციო სასამართლოების შემთხვევაში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილი 3-საქმიანი სხვაობა დაცული უნდა იყოს შემდეგ კომპონენტებში:[39]

- **ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის შემთხვევაში** - სააპელაციო საჩივრებს, კერძო საჩივრებს/ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[1]-VII[14] თავებთან დაკავშირებულ საქმეებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე საჩივრებსა და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის;
- **სამოქალაქო საქმეთა პალატის შემთხვევაში** - სააპელაციო საჩივრებს, კერძო საჩივრებს, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს, სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადებებს/არბიტრაჟთან დაკავშირებული შუამდგომლობებსა და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის;
- **სისხლის სამართლის საქმეთა პალატის შემთხვევაში** - სააპელაციო საჩივრებს, შუამდგომლობებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და 282-289-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებზე საჩივრებს შორის;
- **საგამოძიებო კოლეგიის შემთხვევაში** - საჩივრებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, საჩივრებს საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების თაობაზე და სხვა კატეგორიის საქმეებს შორის.

სააპელაციო სასამართლოების მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პალატებში/ვიწრო სპეციალიზაციებში ყველაზე დატვირთულ კომპონენტებში მოსამართლეებს მოსალოდნელი

[39] აღნიშნულ კომპონენტებში საქმეთა თანაბრობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში 2018 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით. ე.ი. ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრამდე შემოწმებული, ხოლო მის შემდეგ - ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით. რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, აქ საქმეთა თანაბრობის მოთხოვნის დაცულობა შემოწმებულია 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით.

რაოდენობის საქმე არ გაუნაწილდათ, საქმეთა რაოდენობა მათ შორის არ არის დაბალანსებული, იმ მოსამართლეებს შორისაც კი, რომელთაც ერთნაირი ნამუშევარი დღეების რაოდენობა უფიქსირდებათ. როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შემთხვევაში აღინიშნა, ეს იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ელექტრონული სისტემის შესაბამისი ალგორითმი, რომელიც მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა უნდა უზრუნველყოს, გაუმართავია და არ შეესაბამება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესს.

საყურადღებოა სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა განხილვის სტატისტიკა. მსგავსად თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი მათაც აძლევს შესაძლებლობას მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ განიხილონ საქმეები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძეზე საქმეები საერთოდ არ განაწილებულა, ხოლო დიმიტრი გვრიტიშვილს 11 თვის განმავლობაში მხოლოდ 1 საქმე დაეწერა, რაც გაუმართლებელია საქმეთა დიდი ნაკადისა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით და ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში დაფიქსირდა შემთხვევითი პრინციპის გარეშე საქმის განაწილების შემთხვევები შესაბამის პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში 2 ან 3 მოსამართლის ყოფნის გამო, რომელთაგან ერთს/ორს შვებულების, მივლინებისა თუ სხვა მიზეზით შეჩერებული ჰქონდა მოსამართლის უფლებამოსილება. შესაბამისად, ამ პერიოდებში განსაკუთრებით მაღალი იყო დაინტერესებული პირების მხრიდან საქმეთა განაწილების შედეგების განჭვრეტისა და საქმეთა განაწილების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის ალბათობა.

4.2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლო

4.2.1.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 01 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით ელექტრონული სისტემის მეშვეობით 15,414 საქმე განაწილდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის #1/175 გადაწყვეტილებით[40] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები განისაზღვრა.[41] შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემები შეფასდა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრამდე და მისი განსაზღვრის შემდეგ.[42]



[40] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის 1/191. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/191.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 06 მარტს].

[41] ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 3 კატეგორია, სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 4, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 3.

[42] სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის „გ“ და „დ“ კატეგორიებში, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა პალატის „გ“ კატეგორიაში და საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობის ცვლილების გამო 11 თვის ჯამური მონაცემების შეფასების საფუძველზე დასკვნების გაკეთება შეუძლებელი გახდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, 10%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეა, ვინაიდან იგი იმავდროულად იუსტიციის საბჭოს წევრიცაა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებში 11-ივე თვის განმავლობაში მის დატვირთულობად 100%-ია მითითებული. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციების ამოქმედებამდე მას საქმეები რეალურად 10%-იანი დატვირთულობით ეწერებოდა, ხოლო ვიწრო სპეციალიზაციების ამოქმედების შემდეგ - 100%-იანი დატვირთულობით. შესაბამისად, მიუხედავად სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპის მნიშვნელობისა, ელექტრონულ სისტემაში მის დატვირთულობად შეყვანილი 100% ეწინააღმდეგება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილ მოთხოვნას.

პალატა/კატეგორია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული „ა“	მერაბ ლომიძე	336	მირანდა ერემაძე	295
ადმინისტრაციული „ა.ბ“	თეა ძიმისტარაშვილი	12	გიორგი გოგიაშვილი, ილონა თოდუა	4
ადმინისტრაციული „ბ“	ნინო ქადაგიძე	323	გიორგი გოგიაშვილი	293
ადმინისტრაციული „გ“	ლევან მურუსიძე	354	ირაკლი შენგელია	260

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნათია ქუთათელაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით[43], ამავე თარიღიდან გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-4 მუხლის 14[1] პუნქტის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს. ამ ნორმიდან გამომდინარე, მასზე საქმეები არ უნდა განაწილებულიყო მარტი-აპრილის განმავლობაში, თუმცა, მარტის თვეში მას მაინც დაეწერა 1 სააპელაციო საჩივარი, რაც ზემოთ აღნიშნული ნორმის დარღვევას წარმოადგენს, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა, ცხადია, აღემატება 72 საათს. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში შემოსული საქმეების ელექტრონულ სისტემაში შეყვანაზე სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელია პასუხისმგებელი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნათია ქუთათელაძეს საქმე შეცდომით გაუნაწილდა და, როგორც ჩანს, შეცდომით განაწილებული საქმის კანცელარიაში უკან დაბრუნების მექანიზმი, არ იქნა გამოყენებული.

[43] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/179. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/179-2018.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 06 მარტს].

სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატა

პალატა/კატეგორია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
სამოქალაქო „ა“	ნატალია ნაზღაიძე	303	გელა ქირია	283
სამოქალაქო „ბ“	ვანო წიკლაური, ზესარიონ ტაბაღუა	321	გოდერძი გიორგიშვილი	304
სამოქალაქო „გ“	თეა სოხაშვილი	273	ამირან ძაბუნიძე	256
სამოქალაქო „დ“	ეკატერინე ცისკარიძე	773	ანა გოგიშვილი	553
სამოქალაქო „ა“	ნატალია ნაზღაიძე	303	გელა ქირია	283

აღნიშნულ პალატაში საყურადღებოა მოსამართლე თამარ ალანიას მაჩვენებლები. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მასზე იანვარ-თებერვალში თითქმის არცერთ კომპონენტში არ განაწილებულა საქმეები, ხოლო აპრილ-მაისში, პირიქით, გაორმაგებული ოდენობით გაუნაწილდა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იანვრიდან აპრილის ჩათვლით 80 სამუშაო დღიდან მას მხოლოდ 2 დღის განმავლობაში ჰქონდა შეჩერებული უფლებამოსილება მივლინების გამო. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ უზენაესი სასამართლოს საინფორმაციო - ტექნოლოგიური ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არაზუსტია ან მოსამართლე თამარ ალანია გაურკვეველი მიზეზით ამ პერიოდში სავარაუდოდ გამოთიშული იყო საქმეთა განაწილების პროცესიდან, რაც საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დარღვევას წარმოადგენს. რაც შეეხება მაისი-ივნისის პერიოდს, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე თამარ ალანიას დატვირთულობა 100%-ს შეადგენს, მას სრული დატვირთულობის მქონე სხვა მოსამართლეებთან შედარებით ბევრად მეტი საქმე დაეწერა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ელექტრონულ სისტემაში მის დატვირთულობად სავარაუდოდ სხვა მონაცემი იყო მითითებული, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის საწინააღმდეგოდ.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

პალატა/კატეგორია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
სისხლი „ა“	გოჩა ჯეირანაშვილი	190	ნათია ბარბაქაძე	145
სისხლი „ბ“	მარინა ხოლოაშვილი	262	გერონტი კახეთელიძე, მზია ლომთათიძე	261
სისხლი „გ“	კახაბერ მაჭავარიანი	225	მანუჩარ კაპანაძე	218

საგამოძიებო კოლეგია

პალატა/კატეგორია	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
საგამოძიებო	სპარტაკ პავლიაშვილი	369	გიორგი მიროტაძე	340

4.2.1.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, საგამონაკლისო წესით, პირდაპირი განაწილებით, ჯამში 608 საქმე განაწილდა, რომელთაგან ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნებოდა 129 საქმე, სამოქალაქო კატეგორიას - 137, ხოლო სისხლის სამართლისას - 342. უფრო კონკრეტულად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №6*-ში.

4.2.1.3. ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე განაწილებული საქმეები

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში იანვარი-ნოემბრის პერიოდში 7 საქმე განაწილდა. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №6-ში.*

4.2.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

4.2.2.1. შემთხვევითი პრინციპით განაწილებული საქმეები



ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში, თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, სასამართლოს სიდიდიდან გამომდინარე, არ არის განსაზღვრული ვიწრო სპეციალიზაციები. 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით აქ შემთხვევითი პრინციპით განაწილდა 3405 საქმე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეთა შემადგენლობა საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა, იანვრის თვეში საქმეები უნაწილდებოდა 5 მოსამართლეს, თებერვალი-მარტი - 7-ს, აპრილიდან ნოემბრის ჩათვლით კი - 3-ს. ოთხ მოსამართლეს: ვერა დოლიძეს, მაკა გორგოძეს, მარინა სირაძეს და მარინე იმერიშვილს, რომლებიც ძირითადად სისხლის სამართლის საქმეთ პალატაში ახორციელებენ უფლებამოსილებას, 2018 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით უნაწილდებოდათ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საქმეებიც. მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციაში მათი დატვირთულობის კოეფიციენტი ორივე პალატაში შეადგენდა 100%-ს, თუმცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მათზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლეგიაში მხოლოდ 3 მოსამართლეზე ნაწილდებოდა 100%-იანი დატვირთულობით საქმეები და, შესაბამისად, 11 თვის ჯამური მონაცემები მხოლოდ ამ მოსამართლეებთან მიმართებით შეფასდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში გარკვეული პერიოდების განმავლობაში პალატაში მხოლოდ ერთ მოსამართლეზე ნაწილდებოდა საქმეები, რადგან დანარჩენ ორ მოსამართლეს შვებულების გამო შეჩერებული ჰქონდათ მოსამართლის უფლებამოსილება. შესაბამისად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ მოქმედებდა.

სამოქალაქო საქმეთა პალატა

სამოქალაქო საქმეთა პალატაშიც, მსგავსად ადმინისტრაციული პალატისა, მოსამართლეთა რაოდენობა რამდენჯერმე შეიცვალა. აქ ძირითადად საქმეები უნაწილდებოდა 6 მოსამართლეს, თუმცა, ივლისისა და აგვისტოს თვეებში ადმინისტრაციული პალატის ორ მოსამართლეს, მურთაზ მეშველიანსა და ხათუნა ხომერიკსაც დაეწერათ 1-1 სააპელაციო საჩივარი. ამრიგად, მიუხედავად იმისა, კონკრეტული მოსამართლე იყო თუ არა პალატაში, მას მაინც დაეწერა სხვა პალატის საქმე, რაც პროცესს სრულიად გაუმჭვირვალეს ხდის და კითხვის ნიშნებს აჩენს. აღნიშნული ნაკლებსავარაუდოა, იმით იყოს განპირობებული, რომ ამ მოსამართლეებს სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან დაევალათ სამოქალაქო საქმეთა პალატის საქმეების განხილვა, რადგან ამ შემთხვევაში მათ უფრო მეტი საქმე გაუნაწილდებოდათ. სავარაუდოდ, ამჯერადაც სახეზეა კანცელარიის თანამშრომლის „შეცდომა“ საქმეთა განაწილებისას, რისი გამოსწორების მექანიზმიც - საქმის კანცელარიაში დაბრუნება, როგორც ჩანს, კვლავ არ იქნა გამოყენებული.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

მსგავსად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა, საანგარიშო პერიოდში ამ შემთხვევაშიც დაფიქსირდა იმ მოსამართლეთა რაოდენობის ცვლილება, რომელთაც სისხლის სამართლის საქმეები გაუნაწილდათ. იანვრის თვეში საქმეები გაუნაწილდა 7 მოსამართლეს, თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით, 5-ს.

პალატა	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული	მურთაზ მეშველიანი	344	გოჩა აბუსერიძე	276
სამოქალაქო	სიმონ ჩხაიძე	279	თამარ სვანიძე	238
სისხლი	თეიმურაზ სვანიძე	247	ვერა დოლიძე	206

საგამოძიებო კოლეგია

საგამოძიებო კოლეგიაში მხოლოდ ერთი მოსამართლე მოსამართლე მალხაზ ოქროპირაშვილი ახორციელებს უფლებამოსილებას 100%-იანი დატვირთულობით. შესაბამისად, აქ არ მოქმედებს შემთხვევითი განაწილების პრინციპი. სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლე მალხაზ ოქროპირაშვილზე 1 სააპელაციო საჩივარი განაწილდა იანვრის თვეში. თუმცა, საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე არ იხილავს არსებითად საქმეებს, არამედ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან შემოსულ საჩივრებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, ასევე საგამოძიებო და სხვა საპროცესო

მოქმედებების თაობაზე. ამრიგად, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც შეცდომით განაწილდა მასზე საქმე და გაურკვეველი მიზეზით არ იქნა გამოყენებული საქმის კანცელარიაში უკან დაბრუნების მექანიზმი.

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, მალხაზ ოქროპირაშვილს წესის გარეშე[44] ჯამში 736 საქმე გაუნაწილდა, აქედან 712 ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2 სამოქალაქო საქმეთა პალატის, ხოლო 22 სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა.

4.2.2.2. პირდაპირი წესით განაწილებული საქმეები

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით საგამონაკლისო წესით, პირდაპირი წესით, ჯამში 19 საქმე განაწილდა, აქედან ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში - 18 საქმე, ხოლო სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 1. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №7-ში.*

4.2.2.3. გამონაკლისი წესით, ელექტრონული განაწილების წესის გარეშე განაწილებული საქმეები

2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამონაკლისი წესით, ელექტრონული განაწილების წესის გარეშე ჯამში 931 საქმე განაწილდა, აქედან ადმინისტრაციულ პალატაში - 781, სამოქალაქო საქმეთა პალატაში - 36, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში - 114. უფრო დეტალურად სტატისტიკური მონაცემები იხილეთ *დანართ №7-ში.*

[44] წესის გარეშე საქმის განაწილება ხდება, როდესაც კონკრეტულ სპეციალიზაციაში/კოლეგიაში/პალატაში უფლებამოსილება ასრულებს ერთი მოსამართლე. აღნიშნული სპეციალიზაციის საქმე ეწერება პირდაპირ ამ მოსამართლეს, რადგანაც ვერ ხდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის გამოყენება.

4.3. საქართველოს უზენაესი სასამართლო



საქართველოს უზენაესი სასამართლოში 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით შემთხვევითი განაწილების წესით მოსამართლეებზე 4,498 საქმე განაწილდა.

მოცემული სასამართლოს შემთხვევაში დატვირთულობის მოთხოვნა შემოწმდა შემდეგ კომპონენტებში:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - საკასაციო საჩივრები, საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შუამდგომლობები, კერძო საჩივარი, განცხადება ან სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით (72 საათზე ნაკლები), განსჯადობის შესახებ დავა;

სამოქალაქო საქმეთა პალატა - საკასაციო საჩივარი, საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შუამდგომლობა, კერძო საჩივარი, განცხადება ან სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით;

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - საკასაციო საჩივარი, ახლად გამოვლენილი გარემოებები, სხვა კატეგორიის საკასაციო საჩივარი;

პალატა	ყველაზე მეტი საქმე		ყველაზე ნაკლები საქმე	
ადმინისტრაციული	ნუგზარ სხირტლაძე	561	მაია ვაჩაძე	548
სამოქალაქო	პაატა ქათამაძე	399	ეკატერინე გასიტაშვილი	357
სისხლი	გიორგი შავლიაშვილი	487	პაატა სილაგაძე	360

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 3 მოსამართლე ასრულებს უფლებამოსილებას. იანვრიდან ივლისის ჩათვლით, პალატის თავმჯდომარეს, ვასილ როინიშვილს საქმეები 50%-იანი დატვირთულობით უნაწილდებოდა, ხოლო აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით - 100%-ით. იანვარი-ივლისის მონაცემების შეჯამებისას დგინდება, რომ ამ პალატის მოსამართლეებს 6-დან 2 კომპონენტში საქმეები დატვირთულობის შესაბამისად არ გაუნაწილდათ, მათ შორის იმ მოსამართლეებსაც, რომელთაც თითქმის ერთნაირი ნამუშევარი დღეები უფიქსირდებათ. მეტიც, ყველაზე ნაკლები ნამუშევარი დღეების მქონე პალატის თავმჯდომარეს, ვასილ როინიშვილს არათუ 2-ჯერ ნაკლები, არამედ თითქმის ორჯერ მეტი კერძო საჩივარი დაეწერა, რაც საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის დარღვევას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბრის თვეში 1 დღის განმავლობაში ამ პალატაში საქმეები მხოლოდ მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძეს ეწერებოდა, დანარჩენი ორი მოსამართლის მივლინებაში ყოფნის გამო, რაც შემთხვევითი პრინციპის მოქმედებას გამორიცხავს.

სამოქალაქო საქმეთა პალატა

სამოქალაქო საქმეთა პალატაში უფლებამოსილებას 6 მოსამართლე ახორციელებს. საანგარიშო პერიოდში 5 კომპონენტიდან 3-ში მოსამართლეებს 50%-იანი და 100%-იანი დატვირთულობის შესაბამისად საქმეები არ გაუნაწილდათ.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2018 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით 3 მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას, აგვისტო-ოქტომბრის ჩათვლით - 2, ხოლო ნოემბრის თვეში მხოლოდ 1 მოსამართლე. შესაბამისად, ამ პალატაში 11 თვის ჯამური მონაცემების შეფასება შეუძლებელი გახდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ იანვრიდან ივლისის ჩათვლით ამ პალატაში რამდენიმე დღის განმავლობაში არ მოქმედებდა შემთხვევითი განაწილების პრინციპი, ვინაიდან 3 მოსამართლიდან ორს მივლინების საფუძველზე შეჩერებული ჰქონდა მოსამართლის უფლებამოსილება.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც 2018 წლის 2 აგვისტოს სასამართლოსა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე თანამდებობიდან გადადგა. პალატაში დარჩა ორი მოსამართლე, რომელთაგან ერთს, პაატა სილაგაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა 2018 წლის 23 ოქტომბერს. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე მოსამართლეს საქმეები აღარ უნდა დაეწეროს, თუმცა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ფაქტობრივად პარალიზების თავიდან ასაცილებლად სილაგაძეზე მაინც ნაწილდებოდა საქმეები. ამავე მიზნით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/262 გადაწყვეტილებით,[45] მას უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე. მაშასადამე, 2018 წლის აგვისტო-ოქტომბრის ჩათვლით, როდესაც პალატაში დარჩენილი 2 მოსამართლიდან ერთს შეჩერებული ჰქონდა მოსამართლის უფლებამოსილება შვებულების, მივლინების თუ სხვა მიზეზით, საქმეები მხოლოდ მეორეზე ნაწილდებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნოემბრის თვეში საქმეები მხოლოდ გიორგი შავლიაშვილს გაუნაწილდა.

[45] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №1/262 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/262.pdf [უკანასკნელად ნანახია 2019 წლის 08 მარტს].

5. დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული განზოგადებული დასკვნების გაკეთება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის პრაქტიკაში მოქმედებასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში 11 თვის მონაცემებით საქმეები კოლეგიებში/პალატებში/ვიწრო სპეციალიზაციებში არათანაბრადაა განაწილებული მოსამართლეებს შორის. ზოგიერთ მათგანს მოსალოდნელზე ბევრად მეტი, ხოლო ნაწილს გაცილებით ცოტა საქმე გაუნაწილდა. მათ შორის ისეთ მოსამართლეებსაც, რომელთაც ერთნაირი ან თითქმის იდენტური ნამუშევარი დღეები ჰქონდათ, ან არცერთი დღის განმავლობაში არ ჰქონიათ შეჩერებული უფლებამოსილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრონული სისტემის შესაბამისი ალგორითმი საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან შესაბამისად არ მუშაობს. უთანაბრობის გამომწვევი მიზეზი უმეტეს შემთხვევაში განსხვავებული რაოდენობის ნამუშევარი დღეებია. თუმცა, რამდენად შეიძლება აღნიშნული ფაქტორი იყოს წონადი არგუმენტი არათანაბრობის გასამართლებლად, საეჭვოა, რადგან 11 თვე საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რათა ნამუშევარ დღეებს შორის სხვაობით გამოწვეული არათანაბრობა აღმოიფხვრას.

ხაზგასასმელია, რომ საანგარიშო პერიოდში სასამართლოებს/კოლეგიებს/პალატებს/ვიწრო სპეციალიზაციებს შორის მოსამართლეთა მობილობა საკმაოდ ხშირი იყო, რაც შეუძლებელს ხდიდა მოსამართლეების საქმეთა რაოდენობის ელექტრონული განაწილების წესით დადგენილ დატვირთულობის მოთხოვნასთან შესაბამისობის ჯამურ შემოწმებას და ამცირებდა საქმეთა განაწილების სისტემის ეფექტურობას. აღნიშნულს ასევე ხელს უშლიდა მოსამართლეთა დატვირთულობის ცვლილებაც, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვეული იყო 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეებთან საქმეთა რაოდენობის გათანაბრებით, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 200%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეებთან მიმართებით ელექტრონული განაწილების წესი ზოგიერთ სასამართლოში არაეფექტურად მუშაობს, რადგან, მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში 11 თვის განმავლობაშიც კი ვერ მოხერხდა მათი დატვირთულობის 100%-მდე შემცირება. აღნიშნულიც იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრონული სისტემის შესაბამისი ალგორითმი საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შესაბამისად არ მუშაობს.

საყურადღებოა სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა განხილვის სტატისტიკაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან მათ საქმეები მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ შეიძლება დაეწეროთ. ამიტომ ისინი ფაქტობრივად საქმეებს არ იხილავენ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს 100%-იანი დატვირთულობით ეწერებოდა საქმეები, ნაცვლად 20%-ისა, როგორც სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეების შემთხვევაშია, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ასევე პალატების თავმჯდომარეებს - 50%-იანით. გარდა ამისა, ზოგიერთი სასამართლოს თავმჯდომარეს, პირიქით, დატვირთულობასთან შედარებით მეტი საქმე გაუნაწილდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ელექტრონული სისტემის შესაბამისი ალგირითმი არაზუსტია და საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან შეუსაბამოდ მუშაობს. მიგვაჩნია, რომ სასამართლოებში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობიდან და საქმეთა დიდი ნაკადიდან გამომდინარე, გაუმართლებელია საბჭოს წევრის ან/და სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის დატვირთულობის

ავტომატურად შემცირება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს შემცირებული დატვირთულობის მიზანშეწონილობის შეფასების მექანიზმი.

საანგარიშო პერიოდში (ალბათ) საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სასამართლოში საქმეები შემთხვევითი პრინციპით არ ნაწილდებოდა, როდესაც შესაბამის კოლეგიაში/ვიწრო სპეციალიზაციაში/პალატაში ორი ან სამი მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას და შვებულების, მივლინების, ბიულეტენის თუ სხვა საფუძვლით მეორე/დანარჩენ ორ მოსამართლეს შეჩერებული ჰქონდა(თ) უფლებამოსილება. მსგავსი ვითარებაა ასევე რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სადაც მხოლოდ 1 მაგისტრი მოხელე განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საქმეებს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაშიც, სადაც მხოლოდ 1 მოსამართლეა. შესაბამისად, თითოეულ ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა იმის განჭვრეტა, თუ რომელ მოსამართლეს/მოხელეს დაეწერებოდა კონკრეტულ დღეს სასამართლოში შესული საქმე. აღნიშნული, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღების უმთავრეს იდეას, უზრუნველყოს მოსამართლეებზე საქმეების განაწილება შემთხვევითი პრინციპით, რითაც მინიმუმამდე იქნება შემცირებული თავმჯდომარეთა მხრიდან საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ არსებობს დაინტერესებულ პირთა, მათ შორის, სასამართლოს თავმჯდომარეთა მხრიდან საქმეთა განაწილების შედეგების განჭვრეტისა და მათით მანიპულირების შესაძლებლობა, იმ პირობებში, როდესაც ამ უკანასკნელს აქვს მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სასამართლოში შემოსული საქმეები ნაწილდება სათითაოდ და არა ერთიანად, რაც გულისხმობს, რომ შემთხვევითი პრინციპით შეირჩევა მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე და არა თავად განსახილველი საქმე.

რეკომენდაციები:

- დადგინდეს სპეციალური დროები (მაგ: დღეში ორჯერ დადგენილ საათებში), როდესაც მოხდება შემოსული საქმეების ერთდროულად განაწილება ელექტრონული სისტემის საშუალებით. რაც უზრუნველყოფს შემთხვევითი პრინციპით როგორც საქმის, ასევე განმხილველი მოსამართლის შეირჩევას და გამორიცხავს საქმეთა განაწილების შედეგების განჭვრეტისა და მათით მანიპულაციის შესაძლებლობას;

- გასწორდეს საქმეთა განაწილების სისტემის ალგორითმი იმგვარად, რომ უზრუნველყოს მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა და პროგრამის ფუნქციონირების შესაბამისობა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან;

- საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში გაიწეროს რას გულისხმობს ტერმინი „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, ვინ ადგენს ასეთი შემთხვევის არსებობას და მის ხანგრძლივობას;

დანართი №1

თბილისის საქალაქო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ამგვარი წესით საქმეები გაუნაწილდათ:

- თამარ მეშველიანი - 42 საქმე;
- თამარ ოქროპირიძე - 62 საქმე;
- მერი გულუაშვილი - 57 საქმე;
- ნათია ბუსკაძე - 75 საქმე;
- ნანა აფციაური - 58 საქმე;
- ნანა დარასელია - 47 საქმე;
- ნინო ბუაჩიძე - 60 საქმე;
- ხატია არდაზიშვილი - 66 საქმე;
- თამარ ხაჟომია - 41 საქმე;
- ინგა კვაჭანტირაძე - 60 საქმე;
- ლეილა მამულაშვილი - 49 საქმე;
- ნათია ტოგონიძე - 17 საქმე;
- დავით წერეთელი - 27 საქმე;
- დიანა ფარქოსაძე - 17 საქმე;
- ივანე ღლონტი - 14 საქმე;
- ანა ჩხეტია - 67 საქმე;
- ეკატერინე ჯინჭველაშვილი - 59 საქმე;
- ივანე აღნიაშვილი - 62 საქმე;
- ლეილა გოგიშვილი - 84 საქმე;
- ნანა ჭიჭილეიშვილი - 78 საქმე;
- ლაშა თავართქილაძე - 16 საქმე;
- ნინო ყანჩაველი - 14 საქმე;
- ნინო ჭალიძე - 93 საქმე;
- ქეთევან მინაშვილი - 16 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში:

- ანა ჩოგოვაძე - 128 საქმე;
- გენადი მაკარიძე - 136 საქმე;
- გიორგი გოგიჩაშვილი - 125 საქმე;
- ვერა დობორჯგინიძე - 158 საქმე;
- თამარ ჭუნიაშვილი - 200 საქმე;
- თინა ვაშაყმაძე - 124 საქმე;
- მაია სვიანაძე - 178 საქმე;
- ელისო ტუკვაძე - 148 საქმე;
- ვლადიმერ კაკაბაძე - 219 საქმე;
- ზაზა მარტიაშვილი - 191 საქმე;
- თამარ ლაკერბაია - 139 საქმე;
- თამარ ჩიხლაძე - 167 საქმე;
- თინათინ ეცადაშვილი - 111 საქმე;
- ივერი აბაშიძე - 119 საქმე;
- ლია ავალიშვილი - 156 საქმე;
- ლილი ტყემალაძე - 122 საქმე;
- მადი ჩანტლაძე - 289 საქმე;
- მაკა ჭედია - 275 საქმე;
- ნინო მამულაშვილი - 193 საქმე;
- ქეთევან მამაცაშვილი - 232 საქმე;
- შორენა წიქარიძე - 158 საქმე;
- შორენა ჯანხოთელი - 247 საქმე;
- ცისანა სირბილაძე - 133 საქმე;
- ხათუნა კაკაბაძე - 155 საქმე;
- ხათუნა ჯინორია - 152 საქმე;
- ეკატერინე ბიწაძე - 168 საქმე;
- ნათია შიოშვილი - 198 საქმე;
- სერგო მეთოფიშვილი - 264 საქმე;
- ტარიელ ტაბატაძე - 409 საქმე;
- გიორგი მაისურაძე - 159 საქმე;
- დალი აბჟანდაძე - 117 საქმე;
- ეკა ზარნაძე - 167 საქმე;
- ზოია კვარაცხელია - 92 საქმე;
- ირინა ზარქუა - 108 საქმე;
- ლელა ცანავა - 91 საქმე;
- ასმათ კოხრეიძე - 68 საქმე;
- თეა ბერაია - 70 საქმე;
- ირაკლი კოპალიანი - 61 საქმე;
- მაია გიგაური - 68 საქმე;
- ქეთევან კუჭავა - 68 საქმე;
- ზაალ მარუაშვილი - 53 საქმე;
- თამარ ბურჯანაძე - 59 საქმე;
- ლაშა ქოჩიაშვილი - 58 საქმე;
- ლევან მიქაბერიძე - 39 საქმე;
- სოსო ღურწკაია - 37 საქმე;
- ეკატერინე ქეცბაია - 71 საქმე;
- ლეილა კოხრეიძე - 63 საქმე;
- ნინო ილურიძე - 151 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- ეკა არეშიძე - 17 საქმე;
- ეკატერინე გაბრიჩიძე - 6 საქმე;
- ლელა შკუბულიანი - 14 საქმე;
- ალექსანდრე იაშვილი - 10 საქმე;
- გიორგი არევაძე - 5 საქმე;
- გიორგი დარახველიძე - 5 საქმე;
- დავით მგელიაშვილი - 26 საქმე;
- ლავრენტი მაღლაკელიძე - 11 საქმე;
- ლაშა ჩხიკვაძე - 12 საქმე;
- ლიანა ორკოდაშვილი - 7 საქმე;
- ნინო ნაჭყებია - 4 საქმე;
- შორენა გუნცაძე - 11 საქმე;
- ხათუნა ხარჩილავა - 4 საქმე;
- ბესიკ ბუგიანიშვილი - 9 საქმე;
- ბადრი კოჭლამაზაშვილი - 5 საქმე;
- დალი მეტრეველი - 1 საქმე;
- ელენე გოგუაძე - 52 საქმე;
- ლელა ნოზაძე - 2 საქმე;
- ნინო ელიეშვილი - 7 საქმე;
- გიორგი ებანოიძე - 11 საქმე;
- იზა კელენჯერიძე - 6 საქმე;
- ლილი მსხილაძე - 4 საქმე;
- მაია კვირიკაშვილი - 3 საქმე;
- მაია ქოქიაშვილი - 7 საქმე;
- ნათია გუდაძე - 13 საქმე;
- არსენ კალატოზიშვილი - 874 საქმე;
- გიორგი კერატიშვილი - 838 საქმე;
- გიორგი ქაშაკაშვილი - 797 საქმე;
- დავით კურტანიძე - 851 საქმე;
- ეკატერინე კულულაშვილი - 784 საქმე;
- ვეფხია ლომიძე - 32 საქმე;
- თემურ გოგოხია - 213 საქმე;
- ნიკოლოზ მარგველაშვილი - 805 საქმე;
- რომან ხორავა - 818 საქმე;
- ვახტანგ მრელაშვილი - 508 საქმე;
- ლელა კალიჩენკო - 501 საქმე;
- მაია შოშიაშვილი - 271 საქმე;
- მაკა გველესიანი - 549 საქმე;
- მერაბ ჯორბენაძე - 492 საქმე;
- ნატო ხუჯაძე - 479 საქმე;
- ნინო სანდოძე - 4 საქმე;
- ქეთევან ჯაჭვაძე - 534 საქმე;
- ბადრი შონია - 16 საქმე;

თბილისის საქალაქო სასამართლოში **მორიგეობის წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- თამარ მეშველიანი - 56 საქმე;
- თამარ ოქროპირიძე - 61 საქმე;
- მერი გულუაშვილი - 54 საქმე;
- ნათია ბუსკაძე - 60 საქმე;
- ნანა აფციაური - 46 საქმე;
- ნანა დარასელია - 44 საქმე;
- ნინო ბუაჩიძე - 44 საქმე;
- ხატია არდაზიშვილი - 45 საქმე;
- თამარ ხაჟომია - 39 საქმე;
- ინგა კვაჭანტირაძე - 47 საქმე;
- ლეილა მამულაშვილი - 58 საქმე;
- დავით წერეთელი - 45 საქმე;
- ნათია ტოგონიძე - 381 საქმე;
- დიანა ფარქოსაძე - 62 საქმე;
- ივანე ღლონტი - 50 საქმე;
- ანა ჩხეტია - 49 საქმე;
- ეკატერინე ჯინჭველაშვილი - 37 საქმე;
- ლეილა გოგიშვილი - 49 საქმე;
- ნანა ჭიჭილეიშვილი - 64 საქმე;
- ივანე აღნიაშვილი - 371 საქმე;
- ლაშა თავართქილაძე - 854 საქმე;
- ნინო ყანჩაველი - 865 საქმე;
- ნინო ჭალიძე - 565 საქმე;
- ქეთევან მინაშვილი - 938 საქმე;

სისხლის სამართლის კოლეგიაში:

- არსენ კალატოზიშვილი - 626 საქმე;
- გიორგი კერატიშვილი - 520 საქმე;
- გიორგი ქაშაკაშვილი - 570 საქმე;
- დავით კურტანიძე - 560 საქმე;
- ეკატერინე კულულაშვილი - 581 საქმე;
- ელენე გოგუაძე - 74 საქმე;
- ვეფხია ლომიძე - 55 საქმე;
- თემურ გოგოხია - 239 საქმე;
- ნიკოლოზ მარგველაშვილი - 543 საქმე;
- რომან ხორავა - 519 საქმე;
- ვახტანგ მრელაშვილი - 293 საქმე;
- ლელა კალიჩენკო - 320 საქმე;
- მაია შოშიაშვილი - 155 საქმე;
- მაკა გველესიანი - 357 საქმე;
- მერაბ ჯორბენაძე - 285 საქმე;
- ნატო ხუჯაძე - 295 საქმე;
- ქეთევან ჯაჭვაძე - 271 საქმე;
- ბადრი შონია - 54 საქმე;

დანართი №2

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- დარინა აბულაძე - 4 საქმე;
- ლელა მილდენბერგერი - 32 საქმე;
- მალხაზ ჩუბინიძე - 20 საქმე;
- მანანა ნიკაჭაძე - 4 საქმე;
- ციცინო კიკვაძე - 1 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში:

- გენადი მაკარიძე - 1 საქმე;
- გოჩა დიდავა - 138 საქმე;
- დარინა აბულაძე - 157 საქმე;
- მალხაზ ჩუბინიძე - 18 საქმე;
- მანანა ნიკაჭაძე - 104 საქმე,
- ციცინო კიკვაძე - 140 საქმე;
- ციცინო მოსიძე - 49 საქმე.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- თათია გოგოლაური - 350 საქმე;
- თეიმურაზ დგვარელი - 301 საქმე;
- ლერი თედორაძე - 331 საქმე;
- მურთაზ კაპანაძე - 342 საქმე;
- ციცინო მოსიძე - 28 საქმე;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში **მორიგეობის წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- გენადი მაკარიძე - 2 საქმე;
- გოჩა დიდავა - 69 საქმე;
- დარინა აბულაძე - 87 საქმე;
- ლელა მინდელბერგერი - 65 საქმე;
- მალხაზ ჩუბინიძე - 87 საქმე;
- მანანა ნიკაჭაძე - 109 საქმე;
- ციცინო კიკვაძე - 87 საქმე;
- ციცინო მოსიძე - 87 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- თათია გოგოლაური - 757 საქმე;
- თეიმურაზ დგვარელი - 765 საქმე;
- ლერი თედორაძე - 783 საქმე;
- მურთაზ კაპანაძე - 836 საქმე;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში **ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- ციცინო კიკვაძე - 7 საქმე;
- ლერი თედორაძე - 1 საქმე;

დანართი №3

ბათუმის საქალაქო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- გოჩა ფუტრაკაძე - 2 საქმე;
- ირაკლი შავაძე - 43 საქმე;
- ლაშა თავართქილაძე - 2 საქმე;
- სალიხ შაინიძე - 3 საქმე;
- ჯუმბერ ბეჟანიძე - 22 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში:

- გოჩა ფუტკარაძე - 139 საქმე;
- ინდირა მაშანეიშვილი - 115 საქმე;
- ირაკლი შავაძე - 1 საქმე;
- ირმა ტოგონიძე - 93 საქმე;
- სალიხ შაინიძე - 124 საქმე;
- ხათუნა ბოლქვაძე - 170 საქმე;

სისხლის სამართლის კოლეგიაში:

- გიორგი გრატიაშვილი - 267 საქმე;
- დავით მამისეიშვილი - 69 საქმე;
- ვიოლეტა ფორჩხიძე - 232 საქმე;
- თამარ ბეჟანიშვილი - 274 საქმე;
- ლევან გელოვანი - 306 საქმე;

ბათუმის საქალაქო სასამართლოში **მორიგეობის წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- გოჩა ფუტრაკაძე - 135 საქმე;
- ინდირა მაშანეიშვილი - 182 საქმე;
- ირაკლი შავაძე - 208 საქმე;
- ირმა ტოგონიძე - 132 საქმე;
- სალიხ შაინიძე - 209 საქმე;
- ხათუნა ბოლქვაძე - 174 საქმე;
- ჯუმბერ ბეჟანიძე - 185 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- გიორგი გრატიაშვილი - 651 საქმე;
- დავით მამისეიშვილი - 452 საქმე;
- ვიოლეტა ფორჩხიძე - 648 საქმე;
- თამარ ბეჟანიშვილი - 772 საქმე;
- ლევან გელოვანი - 620 საქმე;
- ჯუმბერ ბეჟანიძე - 3 საქმე;

დანართი №4

რუსთავის საქალაქო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- ნატა თედეშვილი - 16 საქმე;
- ნინო ონიანი -45 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში:

- დიანა გოგატიშვილი - 174 საქმე;
- ეკატერინე ყანჩელი - 151 საქმე;
- მაია გიგაური - 5 საქმე;
- მაია შოშიაშვილი - 30 საქმე;
- ნატა თედეშვილი - 10 საქმე;
- ნინო ონიანი - 23 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- ეკატერინე პართენიშვილი - 580 საქმე;
- მადონა მაისურაძე - 457 საქმე;
- მამია ფხაკაძე - 149 საქმე;
- ქეთევან ლუაშვილი - 516 საქმე;

რუსთავის საქალაქო სასამართლოში **მორიგეობის წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- ირინე ტყეშელაშვილი - 19 საქმე;
- ნატა თედეშილი - 159 საქმე;
- ნინო ონიანი - 145 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- ეკატერინე პართენიშვილი - 130 საქმე;
- მადონა მაისურაძე - 102 საქმე;
- მამია ფხაკაძე - 23 საქმე;
- ქეთევან ლუაშვილი - 129 საქმე;

რუსთავის საქალაქო სასამართლოში **ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- ნინო ონიანიანი - 2 საქმე;
- დიანა გოგატიშვილი - 1 საქმე;
- მადონა რუხაძეს - 2 საქმე;
- მამია ფხაკაძეს - 3 საქმე;
- ქეთინო ლუაშვილს - 2 საქმე;

დანართი №5

გორის რაონულ სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- დავით პაპუაშვილი - 19 საქმე;
- მაია კუთხაშვილი - 1 საქმე;
- ნინო გერგაული - 32 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში:

- ვალერიანე ფილიშვილი - 71 საქმე;
- მაია კუთხაშვილი - 64 საქმე;
- ნინო შარაძე - 69 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- გერმანე დადეშქელიანი - 302 საქმე;
- გოგა კუპრეიშვილი - 348 საქმე;
- ლევან დარბაიძე - 270 საქმე;
- ნიკოლოზ მარსაგიშვილი - 77 საქმე;
- შალვა კაკაურიძე - 224 საქმე;

გორის რაიონულ სასამართლოში **მორიგეობის წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში:

- დავით პაპუაშვილი - 16 საქმე;
- ვალერიანე ფილიშვილი - 14 საქმე;
- მაია კუთხაშვილი - 13 საქმე;
- ნინო გერგაული - 11 საქმე;
- გოგა კუპრეიშვილი - 4 საქმე;
- ნინო შარაძე - 12 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში:

- გერმანე დადეშქელიანი - 205 საქმე;
- გოგა კუპრეიშვილი - 140 საქმე;
- ლევან დარბაიძე - 145 საქმე;
- შალვა კაკაურიძე - 182 საქმე;

დანართი №6

თბილისის სააპელაციო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში:

- თეა ძიმისტარაშვილი - 9 საქმე;
- მერაბ ლომიძე - 9 საქმე;
- მირანდა ერემაძე - 8 საქმე;
- მანანა ჩოხელი - 12 საქმე;
- თამარ ონიანი - 6 საქმე;
- გიორგი ტყავაძე - 4 საქმე;
- შოთა გეწაძე - 5 საქმე;
- ილონა თოდუა - 6 საქმე;
- გიორგი გოგიაშვილი - 4 საქმე;
- ნინო ქადაგიძე - 22 საქმე;
- გელა ბადრიაშვილი - 1 საქმე;
- მარიამ ცისკაძე - 3 საქმე;
- ირაკლი შენგელია - 8 საქმე;
- ლევან მურუსიძე - 29 საქმე;
- ნათია ქუთათელაძე - 2 საქმე;
- შორენა ყაველაშვილი - 1 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა პალატაში:

- გელა ქირია - 9 საქმე;
- გოგიტა თოთოსაშვილი - 6 საქმე;
- ლევან გვარამია - 7 საქმე;
- მაია სულხანიშვილი - 9 საქმე;
- ნატალია ნაზღაიძე - 5 საქმე;
- ირაკლი ბონდარენკო - 5 საქმე;
- ქეთევან მესხიშვილი - 5 საქმე;
- თამარ ზამბახიძე - 5 საქმე;
- თამარ ალანია - 6 საქმე;
- ნათია გუჯაბიძე - 2 საქმე;
- გოდერძი გიორგიშვილი - 10 საქმე;
- ვანო წიკლაური - 17 საქმე;
- დიანა ბერეკაშვილი - 7 საქმე;
- ქეთევან დუგლაძე - 3 საქმე;
- ბესარიონ ტაბაღუა - 7 საქმე;
- ოთარ სიჭინავა - 5 საქმე;
- ამირან ძაბუნიძე - 9 საქმე;
- თეა სოხაშვილი - 6 საქმე;
- რევაზ ნადარაია - 1 საქმე;
- თეა სოხაშვილი - 7 საქმე;
- ეკატერინე ცისკარიძე - 4 საქმე;
- ხათუნა არევაძე - 4 საქმე;
- ანა გოგიშვილი - 4 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში:

- ვეფხია ლომიძე - 3 საქმე;
- ნინო სანდოძე - 1 საქმე;
- ნათია ბარბაქაძე - 43 საქმე;
- მურმან ისაევი - 46 საქმე;
- გოჩა ჯეირანაშვილი - 1 საქმე;
- მაია თეთრაული - 53 საქმე;
- რევაზ ნადარაია - 8 საქმე;
- გერონტი კახეთელიძე - 29 საქმე;
- მზია ლომთათიძე - 31 საქმე;
- მარინა ხოლოაშვილი - 28 საქმე;
- მანუჩარ კაპანაძე - 38 საქმე;
- კახაბერ მაჭავარიანი - 28 საქმე;
- შორენა ყაველაშვილი - 24 საქმე;
- ლევან თევზაძე - 9 საქმე;

თბილისის სააპელაციო სასამართლოში **ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში:

- შორენა ყაველაშვილი - 1 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა პალატაში:

- ვანო წიკლაური - 1 საქმე;
- ნათია გუჯაბიძე - 1 საქმე;
- ამირან ძაბუნიძე - 1 საქმე;
- ხათუნა არევაძე - 1 საქმე;
- მერაბ გაბინაშვილი - 1 საქმე;

საგამოძიებო კოლეგიაში:

- გიორგი გოგინაშვილი - 1 საქმე;

დანართი №7

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში **პირდაპირი წესით** განაწილებულ საქმეთა სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში:

- მურთაზ მეშველიანი - 3 საქმე;
- ხათუნა ხომერიკი - 7 საქმე;
- გოჩა აბუსერიძე - 8 საქმე;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატაში:

- თამარ სვანიძე - 1 საქმე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში **წესის გარეშე, გამონაკლისი წესით** განაწილებული საქმეების სტატისტიკა:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში:

- ვერა დოლიძე - 5 საქმე;
- ხათუნა ხომერიკი - 2 საქმე;
- გოჩა აბუსერიძე - 8 საქმე;
- თეიმურაზ სვანიძე - 53 საქმე;
- მარინე იმერლიშვილი - 1 საქმე;
- მალხაზ ოქროპირაშვილი - 512 საქმე;

სამოქალაქო საქმეთა პალატაში:

- თამარ სვანიძე - 9 საქმე;
- ირმა პერანიძე - 7 საქმე;
- ლაურა მიქავა - 6 საქმე;
- ნანა კალანდაძე - 5 საქმე;
- სიმონ ჩხაიძე - 7 საქმე;
- მალხაზ ოქროპირაშვილი - 2 საქმე;

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში:

- თეიმურაზ სვანიძე - 17 საქმე;
- მარინა სირაძე - 21 საქმე;
- მარინე იმერლიშვილი - 22 საქმე;
- ვერა დოლიძე - 17 საქმე;
- მაკა გორგოძე - 15 საქმე;
- მალხაზ ოქროპირაშვილი - 22 საქმე;